2 726 √ 8413

სამშობლო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა


№ 3 (283) გამოცემის მე-16 წელი
1972 წლის 11 თებერვალი

იაპონელი გიჭუნას

მოსაგონებლად

„სამშობლო“ — ფოტო-72






ზამთარი თბილისში

„სამშობლო“ — ფოტო-72

გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველებმა იციან, რომ სახელოვანი ქართველი ლითონმძანდაკებლის კობა გურულის ჰედური ნამუშევრები შარშანდელი შემოდგომისა და წლევანდელი ზამთრის განმავლობაში მვრომაში მოგზაურობენ. კობა გურულის პერსონალური გამოფენები მოწყობილი იყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში, დასავლეთ ბერლინში, ხოლო ამჟამად მის ლითონმძანდაკებლობას ეცნობიან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. გამოფენა მალე გადაინაცვლებს ლაიფციგსა და დრეზდენში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა საუკეთესოდ აფასებს ქართველი ლითონმძანდაკებლის ხელოვნებას, მოსწონთ თამარის, დავითისა და შოთას პორტრეტები, „ძახილი შდაბნოში“, „შენ ხარ ვენახი“, „აღმოსავლეთი“ და „ჩურჩხელები“. კობა გურულის გამოფენას კვირაში სამი ათასამდე დამთვალიერებელი ჰყავს. გუდაჰეშტსა და ბერლინში მხატვარი თვითონაც ესწრებოდა გამოფენების გახსნას. ქართველ ხელოვანს უკვე კარგად იცნობენ მსოფლიოს ბევრ კუთხეში, იცნობენ იაპონიაშიც...



ორიოდე წლის წინათ საბჭოთა კავშირს ეწვია ცნობილი იაპონელი კინორეჟისორი კავასაკი. იგი მოსკოვის შემდეგ ჩვენს დედაქალაქშიც ჩამოვიდა და თან ახლდა თავისი ათიოდე წლის ვაჟი.


კავასაკის თბილისში ჩამოსვლამდე ბევრი რამ ჰქონდა გაგონილი კობა გურულის შესახებ, უურნალ-გაზეთებში არაერთი გულთბილი სტრიქონი წაეკითხა მის შემოქმედებაზე. ამიტომაც დიდი სურვილი ჰქონდა, პირადად გაეცნო ქართველი ხელოვანი, სწვეოდა მის სახელოსნოს.

იაპონელი ბიჭუნას ხალასმა ნიჭმა გააოცა მასპინძელი. ბავშვი ბრწყინვალედ ხატავდა, კარგად ფლობდა რუსულ და ინგლისურ ენებს. უმაწვილი ძალზე დაინტერესა ჰედურმა ხელოვნებამ. კობა გურულმა იქვე სახელდახელო გაკვეთილი ჩაუტარა „ამომავალი მზის“ ქვეყნიდან ჩამოსულ ბიჭუნას, ჩაახედა ჰედური ხელოვნების საიდუმლოებაში... და ჩაეყარა საფუძველი მეგობრობას, მიმოწერას ქართველ მხატვარსა და იაპონელ უმაწვილს შორის. დაპირების თანახმად, წლეულს გაზაფხულზე მამაშვილი კვლავაც უნდა ჩამოსულიყვნენ თბილისში, სწვეოდნენ კობა გურულს, მაგრამ... სამწუხარო ცნობა მოვიდა იაპონიიდან: პატარა კავასაკი საავტომობილო კატასტროფაში დაღუპულა. კობა გურული ძალზე შეაწუხა ამ ამბავმა.

— მართლაც მოულოდნელი იყო ჩემთვის ეს ცნობა, — გვითხრა კობა გურულმა, — ისე დამწყდა გული, თითქოს ვინმე ახლობელი დამკარგოდეს. იაპონელი ბიჭუნას ხსოვნის პატივსაცემად გადავწყვიტე შემექმნა ეს ახალი ნამუშევარი, რომელსაც „სულის გადასახლება“ ეწოდება.

ამ დღეებში ქართველმა მხატვარმა თავისი ქმნილება დაღუპული უმაწვილის მამას გაუგზავნა.

ზაურ მაისაია



სურათებზე: მხატვარი ფიქრებს მოუცავს; დაღუპული იაპონელი ბიჭუნას ხსოვნისადმი მიძღვნილი ნამუშევარი.

ალექსანდრე სარიშვილის ფოტოები

თბილისის სტუმარი

ჩვენს დედაქალაქში სტუმრად იმყოფება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში **დიულო რაპაი** მეუღლითურთ.

საპატიო სტუმარი 7 თებერვალს ვიზიტით ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **ვასილ მჟავანაძეს.**

ვასილ მჟავანაძესა და დიულო რაპაის შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი **შალვა კიკნაძე.**

ირანის ფინანსთა მინისტრი საქართველოში

საქართველოში სამ დღეს იმყოფებოდა ირანის ფინანსთა მინისტრი **ჯამშიდ ამუზგარი** მეუღლითურთ, ირანის ფინანსთა სამინისტროს გენერალური დირექტორი **ა. ფარშჩი** და მრჩეველი **ა. ირვანი.**

ჯამშიდ ამუზგარი და მისი თანმხლები პირები გაეცნენ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკასა და კულტურას, ეწვივნენ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს, სახალხო მხატვრის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის ლადო გუდიაშვილის სახელოსნოს, იყვნენ მცხეთაში.

დიდი ინტერესი გამოიჩინეს სტუმრებმა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და ხელოვნების მუზეუმში: — მომეცა იშვიათი შესაძლებლობა, — აღნიშნა სტუმარმა, — მენახა ქართული მინანქრის უნიკალური კოლექცია.

ირანის მინისტრი განსაკუთრებით დაინტერესდა ირანის ძველი ხელოვნების ექსპოზიციით. დაათვალიერა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი XVIII-XIX საუკუნეების დაზგური ფერწერის ნაწარმოებები. სტუმარს ახსნა-განმარტებას აძლევდა ხელოვნების მუზეუმის დირექტორი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, „სსრ კავშირ-ირანის“ საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე **შალვა ამირანაშვილი.**

საპატიო სტუმარი მიიღო საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **გივი ჯავახიშვილმა.** საუბარს ესწრებოდნენ—ირანის მხრივ: **ა. ფარშჩი, ა. ირვანი,** საბჭოთა კავშირის მხრივ: საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე **ერმალო ჯაფარიძე,** საბჭოთა კავშირის ფინანსთა მინისტრის მოადგილე **სტანისლავ ბორისოვი,** საქართველოს ფინანსთა მინისტრი **არჩილ ჭირაქაძე,** საქართველოს განათლების მინისტრი **თამარ ლაშქარაშვილი,** საქართველოს მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **გივი მიქელაძე,** საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს მინისტრთა საბჭოში **რაფიელ ელიგულაშვილი,** საქართველოს დეპეშათა სააგენტოს — საქდესის დირექტორი **ვლადიმერ ჭიაურელი,** რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **თენგიზ გორდელაძე,** საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სამდივნოს გამგე **გივი ხუნდაძე.**

ჯამშიდ ამუზგარმა განაცხადა, რომ ირანელი ხალხი გულწრფელ კმაყოფილებას გამოთქვამს საბჭოთა კავშირთან პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის გამო, რაც წარმატებით ვითარდება. საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის წინ, — თქვა სტუმარმა, — ირანის შაჰინ-შაჰმა დამავალა გადმომეცა, რომ ირანელი ხალხი ისწრაფვის გააფართოოს და განამტკიცოს მეგობრობა ჩვენს კეთილ მეზობელთან — საბჭოთა კავშირთან. საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებებზე საუბრისას ჯამშიდ ამუზგარმა დიდად დააფასა ქართველი ხალხის წარმატებები ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში და განსაკუთრებით აღნიშნა მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება.

ყოველი მხრიდან

სპიშებილელებზე

ბალე აღინიშნება ცნობილი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავი. ეხლახან საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის **გიორგი ძოწენიძის** ხელმძღვანელობით გაიმართა იუბილეს მომწყობი რესპუბლიკური კომისიის სხდომა.

კომისიამ განიხილა რეჟისორის შემოქმედებითი მემკვიდრეობის კრებულისა და ეთერ გუგუშვილის მონოგრაფიის — „კოტე მარჯანიშვილის“ გამოცემის საკითხები. მზადდება კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ილუსტრირებული ალბომი ქართულ, რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. გამოიცემა ნონიკაშვილის მიერ შედგენილი ფოტოდოკუმენტების ალბომი, ბიბლიოგრაფია.

მარჯანიშვილის იუბილეს დღეებში აღადგენენ რეჟისორის საუკეთესო დადგმებს — კარლ გუცკოვის „ურიელ აკოსტას“ და ზურაბ ანტონოვის „მზის დაბნელებას საქართველოში“.

გამოჩენილი რეჟისორის იუბილესათვის გამოვა სამახსოვრო მედალი კოტე მარჯანიშვილის გამოსახულებით, სამკერდე ნიშანი, საფოსტო მარკები. იუბილეს დღეს თბილისში საძირკველი ჩაეყრება კოტე მარჯანიშვილის ძეგლს.

კინოსტუდია „ქართული ფილმი“ გამოუშვებს დოკუმენტურ სურათს „კოტე მარჯანიშვილი“ და აღადგენს რეჟისორის კინოფილმს „სამანიშვილის დედინაცვალი“. მოსკოვში მოეწყობა კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა.

და განსაჯა ჭიურიმ...

დამთავრდა ახალგაზრდა მხატვართა კონკურსი, რომელსაც ყოველწლიურად აწყობს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქცია. კონკურსში მონაწილეობდნენ მხატვრები, რომელთაც ეს-ეს არის შედგეს ფეხი ფერწერის, გრაფიკისა თუ ლითონმქანდაკებლობის რთულ სამყაროში და გაგვახარეს პირველი გამოცხადით.

კონკურსის მონაწილე უნდა ამჟღავნებდეს ამკარა მხატვრულ ნიჭს, ჰქონდეს საკუთარი თემები, საკუთარი ხედვა, განუმეორებელი ხელწერა, ის, რითაც მომავალში სხვებისაგან უნდა გამოირჩეოდეს.

ამ თვალსაზრისით აფასებდა წლების მანძილზე უაღრესად ავტორიტეტული ჟიური ახალგაზრდა მხატვართა საკონკურსო ნაწარმოებებს.

წლეულს ჟიურის ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი, აკადემიკოსი უჩა ჯაფარიძე. გამოფენილ ნაწარმოებთა გულდასმით შესწავლის, შემოქმედებითი კამათისა და განსჯის შედეგად ჟიურიმ მიაღწია ერთსულოვნებას, გამოავლინა რამდენიმე ნიჭიერი ავტორი და გადაწყვიტა:

პირველი პრემია მიენიჭოს თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტს ბია მარკოზაშვილს ფერწერული ტილოსათვის „ცხვართა ჭიდილი“. მეორე პრემია — თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტს ლერი ჯანაშიას პეიზაჟების სერიისათვის, მესამე პრემია—თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტს სერგო ჭილრელს ფერწერული ტილოსათვის — „ბახუსი“.

წამახალისებელი პრემიები მიენიჭათ: თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს ელისო ცაბაძეს, ავთანდილ მოსიაშვილს, გურამ ჟღენტიშვილსა და გურამ თევზაძეს.

აგრეთვე მოსე თოიძის № 11 სასწავლებლის მოსწავლეს ვლადიმერ გარანაშვილს, მხატვარ ვლადიმერ ოქროპირიძესა და ფიზიკის მეცნიერებათა კანდიდატს გიორგი ბებიაშვილს.

ყოველი მხრიდან

გასტროლებზე იაპონიაში

ამ დღეებში იაპონიაში გაემგზავრა საქართველოს სახალხო არტისტი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარი დირიჟორი, პროფესორი ვახტანგ ფალიაშვილი. იგი უდირიჟორებს კონცერტებს, რომელსაც იაპონიაში გამართავენ საბჭოთა ბალეტის ცნობილი ოსტატები. საგასტროლო ჯგუფის მხატვრული ხელმძღვანელია რუსეთის დამსახურებული არტისტი ალექსანდრე ლაფაური.

ვახტანგ ფალიაშვილის გასტროლები საზღვარგარეთ პირველი როდია. მას უდირიჟორია საბჭოთა მსახიობების საბალეტო წარმოდგენებისათვის უხვრეთში, საფრანგეთში, ინგლისში, ირლანდიაში, პოლონეთში, კუბაში, ეგვიპტეში. ნამყოფია იაპონიაშიც.

ამჯერად საბჭოთა მსახიობებისა და დირიჟორის ხელოვნებას გაეცნობიან ტოკიოს, ოსაკას, კიოტოს, საპოროსა და სხვა დიდი ქალაქის მცხოვრებლები. გასტროლები იაპონიაში ორ თვეს გასტანს.

„საკაკიო შვილი“

ასე ჰქვია დოკუმენტურ ფილმს, რომელსაც უკრაინელი კინოდოკუმენტალისტები — რეჟისორი ა. კრივარჩუკი და ოპერატორი ა. ლოსოვოი ჩვენს რესპუბლიკაში, სოფელ არანისში იღებენ. ფილმის მთავარი გმირია ცნობილი მფრინავი-მოიერიშე, საბჭოთა კავშირის გმირი ზაქარია ხიტალიშვილი.

...ეს იყო დაახლოებით ოცდაათი წლის წინათ. უთანასწორო ბრძოლაში ფაშისტებმა პოლტავის ოლქის ოკუპირებულ ტერიტორიაზე საბჭოთა თვითმფრინავი ჩამოაგდეს. მფრინავმა თავი დააღწია ალმოდებულ მანქანას. სოფელ პერვაია მიხაილოვკას მცხოვრებლებმა სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდეს, შვილივით შეიფარეს დაჭრილი მეომარი, ჭრილობები მოუშუშეს და ფრონტის ხაზზე გადასვლაში დაეხმარნენ.

წელიწადი ისე არ გავა, ზაქარია რომ ოავის უკრაინელ მეგობრებს არ ეწვიოს. ისინიც ხშირად ჩამოდიან საქართველოში. ეხლახან კი სოფელ პერვაია მიხაილოვკას სახოფლო საბჭოს გადაწყვეტილებით ჩვენს თანამემამულეს პოლტავაშჩინის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

ახალი ფილმი, რომელსაც იღებენ პოლტავის ოლქში, თბილისსა და გმირის სამშობლო სოფელ არანისში, ორი მოძმე ხალხის — ქართველებისა და უკრაინელების დიადი მეგობრობის კიდევ ერთი ნათელი მოთხრობა იქნება.

გადაარჩინეს შვლები

ღვევანდელმა დიდმა თოვლმა და გაჭიანურებულმა ზამთარმა დაღუპვის საფრთხე შეუქმნა რესპუბლიკის მაღალმთიანი რაიონების ფაუნას.

გასაჭირში ჩავარდნენ შვლები, გარეული ღორები და სხვა ცხოველები. შიმშილმა აიძულა ისინი მთიდან ბარში ჩაწოსულიყვნენ. კოლმეურნეებმა, მოსწავლეებმა, მონადირეებმა ყველაფერი იღონეს, რათა დაღუპვისაგან გადაერჩინათ ცხოველები. ბევრ ტყისპირა ადგილას დააწყეს თივა და ჩალა, დადგეს საკვებურები, დაყარეს მარილი.

შუახევის რაიონში თოვლმა გზა შეუკრა ირემს. კოლმეურნეებმა ტყვეობიდან გაათავისუფლეს ტყის სტუმარი, შინ მიიყვანეს, მზრუნველობა არ მოაკლეს. ამჟამად შველი აჭარის მონადირეთა კავშირის ჩაქვის მეურნეობაშია.

სამი უმწეო შველიც გადაარჩინეს კოლმეურნეებმა უეჭველ დაღუპვას. დღეს ისინი ტიკერის ნაკრძალში იმყოფებიან.

ყოველი მხრიდან

ზურაბ ანჯაფარიძე მწყემსებთან.

მწყემსების სატახტო ქალაქში...

მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, სოფია, პრაღა, ვარშავა, ბერლინი, პარიზი, ნიუ-იორკი — აი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობთა საგასტროლო ქალაქები. ქართველ მსახიობებს თავი არსად შეურცხვენიათ. სადაც კი თავისი მშვენიერი ხელოვნება გააცნეს მსმენელსა და მაყურებელს, ყველგან გულწრფელი მეგობრები და თაყვანისმცემლები გაიჩინეს.

ქართველ ხელოვანთა საგასტროლო გზებმა ამ დღეებში კიდევ 600 კილომეტრით იმატა. ჩვენი ხელოვნების დესპანებმა კიდევ ერთი, მწყემსების სატახტო ქალაქი კოჩუბეი მოხიბლეს.

...იანვარი იდგა. „მინერალური წყლები — ასტრახანის“ მატარებელი კოჩუბეის სადგურზე ჩამოდგა. მატარებლიდან ჩამოვიდნენ საქართველოს სახალხო არტისტი, თეატრის დირექტორი დიმიტრი მჭედლიძე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები პეტრე ამირანაშვილი და ზურაბ ანჯაფარიძე, საქართველოს სახალხო არტისტი თენგიზ მუშკუდიანი, საქართველოს დამსახურებული არტისტი გივი ტორონჯაძე, მომღერალი მერაბ დონაძე, ბალეტის მსახიობი გურამ ბირკაძე და კონცერტმეისტერი ლეონიდ შაბანოვი.

სადგურზე ქართველ მსახიობთ მასპინძლებმა გულთბილი შეხვედრა გაუმართეს და მათი სტუმრობა მწყემსების სატახტო ქალაქში ნამდვილ ზეიმად იქცა.

ქართული საოპერო სცენის ოსტატები პირველად თიანეთის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობას ეწვივნენ. დიმიტრი მჭედლიძემ შეკრებილთ მოუთხრო ქართული საოპერო მუსიკის განვითარების გზებზე, თეატრის პერსპექტივებსა და რეპერტუარზე. შემდეგ კი აჟღერდა ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი მელოდიები, ვიქტორ დოლიძის, არჩილ კერესელიძის, რევაზ ლაღიძის გულშიჩამწვდომი ნაწარმოებები. პეტრე ამირანაშვილმა ჩვეული ოსტატობით შეასრულა ჩალხიას არია ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „მინდიადან“, კიაზოს არია ოპერა „დაისიდან“. გივი ტორონჯაძემ მეცხვარეებს „ურმული“ და „მენახშირეს“ სიმღერა უმღერა კინოფილმ „მაგდანას ლურჯადან“. ზურაბ ანჯაფარიძემ ყველა მოხიბლა სულხან ცინცაძის „მგზავრულით“ კინოფილმ „ბაში-აჩუკიდან“. განსაკუთრებული სიყვარული და ეშხი ჩააქსოვა ზურაბმა ლილი იაშვილის სიმღერას თბილისზე „გეპატიჟებით ყველას“.

გაისმა ცანგალას კუპლეტები ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან“ და თენგიზ მუშკუდიანი ამღერდა, აღტაცებულ მსმენელთ მჭუხარე ტაში მოწყვიტა. ნაკლები წარმატება როდი ხვდა ახალგაზრდობის მსოფლიო მერვე ფესტივალის ლაურეატს მერაბ დონაძეს, რომელმაც შეასრულა რევაზ ლაღიძის სიმღერა სამშობლოზე და იტალიური სიმღერა „დაბრუნდი სორენტოში“. დიდი მოწონება ხვდა წილად ბალეტის მსახიობის გურამ ბირკაძის პანტომიმას „ჯიუტი სახედარი“.

კონცერტის დასასრულ გივი ტორონჯაძემ და მერაბ დონაძემ მსმენელები გაახარეს საქოსა და სიკოს კუპლეტებით ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტედან“.

თიანეთელებმა პეტრე ამირანაშვილი და გივი ტორონჯაძე თავიანთ საპატიო მეცხვარეებად აირჩიეს და იქვე წამოასხეს ნაბდები.

ქართული საოპერო სცენის ოსტატებმა კონცერტები გამართეს ავრეთვე კოჩუბეიდან 100-120 კილომეტრით დაშორებულ დუშეთის რაიონის სოფელ გუდამაყრის, ლენინგორის რაიონის უკანამხრის, ყაზბეგის რაიონის კობის კოლმეურნეობათა მწყემსებთან. მეცხვარეები სიხარულით ეგებებოდნენ მსახიობებს, იმართებოდა საუბრები, აზრთა ურთიერთგაზიარება. სტუმრებს აინტერესებდათ მეცხვარეთა მიღწევები, მათი ცხოვრება, ყოველდღიური საქმიანობა, მომავლის ამოცანები. მეცხვარეები კი ეცნობოდნენ ოპერის თეატრის მსახიობთა მოღვაწეობას, მათ გეგმებს, რეპერტუარს... და კვლავ საპატიო მწყემსებად არჩევა — ამჯერად ეს პატივი ზურაბ ანჯაფარიძეს, დიმიტრი მჭედლიძეს, თენგიზ მუშკუდიანსა და მერაბ დონაძეს ხვდათ წილად.

ოპერის თეატრის პროფკავშირულმა ორგანიზაციამ ქართველ მეცხვარეებს გადასცა საჩუქრები — წიგნები ქართული თეატრის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების შესახებ. მწყემსებმა ეს საჩუქრები ავტოგრაფებით მიიღეს.

19 იანვარს კოჩუბეიში გაიმართა მეგობრობის საღამო-კონცერტი, რომელსაც, ქართველი მეცხვარეების გარდა, ესწრებოდნენ დაღესტნელი მწყემსები, კოჩუბეის სადაბო საბჭოს მშრომელთა წარმომადგენლები.

თბილისის ოპერის თეატრის მსახიობთა ეს შეხვედრები მწყემსების სატახტო ქალაქში ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ნათელი დადასტურება იყო.

ნ ი კ ო ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ი ს ს ა ი უ ბ ი ლ ე ო დ

ცნობილ ქართველ მწერალს ნიკო ლორთქიფანიძეს ასრულდება დაბადების 90 წელი.

გაიმართა მთავრობის საიუბილეო კომისიის პირველი სხდომა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა **გრიგოლ აბაშიძემ.**

მწერლის იუბილესთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა აკადემიკოსმა **გიორგი ჯიბლაძემ,** საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნებმა **ბესო უღენტმა, სერგი ჭილაიამ, იოსებ ნონეშვილმა,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **გიორგი ხუციშვილმა,** საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ **უშანგი ობოლაძემ,** გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორმა **რევაზ მარგიანმა,** ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორმა **ელგუჯა მაღრაძემ,** საქართველოს მწერალთა კავშირის ჭუთაისის განყოფილების მდივანმა **დავით კვიცარიძემ,** ჟურნალ „მნათობის“ პასუხისმგებელმა მდივანმა **ედიშერ უიფიანმა,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **შალვა ბერიანიძემ,** ახალი ამბების პრესის სააგენტოს საქართველოს განყოფილების გამგემ, ნიკო ლორთქიფანიძის შვილმა **მერაბ ლორთქიფანიძემ.**

გადაწყვეტილია მწერლის იუბილე აღინიშნოს წლეულს აპრილში. საზეიმო საიუბილეო სხდომა გაიმართება თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

საიუბილეო მიტინგი მოეწყობა მწერლის სამშობლო სოფელ ჩუნეშში. საზეიმო საიუბილეო საღამოები გაიმართება ჭუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალსა და საქართველოს სხვა ქალაქებში.

მწერლის იუბილესათვის გამოიცემა მის ნაწარმოებთა ორტომეული რუსულ ენაზე, 1973 წლის დამლევისათვის კი დამთავრდება ოთხტომეულის გამოცემა ქართულ ენაზე. გათვალისწინებულია ქართულად და რუსულად გამოიცეს მონოგრაფიები ნიკო ლორთქიფანიძის ცხოვრებისა და შემოქმედებითი გზის შესახებ. უნდა ეთხოვოს ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს, რომ ჩვენი დედაქალაქის ერთერთ ქუჩას ეწოდოს ნიკო ლორთქიფანიძის სახელი. მწერლის სახელი დაერქმევა ქუჩასა და სკოლას ქუთაისში.

საიუბილეო დღეებში მწერალთა კავშირი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი მოაწყობენ გამოჩენილი ქართველი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ გაერთიანებულ სამეცნიერო სესიას.

მწერლის იუბილესათვის მოამზადებენ ფილმს, სატელევიზიო და რადიოგადაცემებს, გამოქვეყნდება მასალები ჟურნალ-გაზეთებში მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

გამომცემლობა „ნაკადულს“ დაევალა სპეციალურად მოსწავლე ახალგაზრდობისათვის გამოუშვას ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოებები.



ვოლტი ოთარ მამფორია დაიბადა 1924 წელს ჭუთაისში. მამა ადრე გარდაეცვალა და ორ ძმას მარტოხელა დედა ზრდიდა.

1941 წელს დაამთავრა ჭუთაისის 28-ე საშუალო სკოლა, სამ წელიწადს სწავლობდა საავიაციო ტექნიკუმში, მუშაობდა თბილისის საავიაციო ქარხანაში.

1946 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის განხრით, რომელიც 1951 წელს დაამთავრა.

პირველი ლექსები დაბეჭდა 1940 წელს ჭუთაისის გაზეთში. პირველი წიგნი გამოვიდა 1956 წელს. დღემდე გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე კრებული.

ოთარ მამფორიას პიესები იდგმება რესპუბლიკის თეატრების სცენაზე.

პირველი პიესა „შეტაკების ჩრდილში“ 1963 წელს დიდი წარმატებით განახორციელა თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა.

ამჟამად ოთარ მამფორიას პიესა „იეთიმ გურჯი“ იდგმება დიდი თეატრალური ტრადიციების მქონე ჭუთაისის დრამატულ თეატრში.

გთავაზობთ პოეტის რამდენიმე ლექსს.

როცა ლექსს ვწერ...

როცა ლექსს ვწერ, დილაა თუ ბინდია,
საქართველო ჩირაღდანად მინთია.
შავი ზღვიდან მოვარდნილი ქარი ვარ,
ქოხის ბუხრის ცეცხლის ნაპერწკალი ვარ
და ამ მიწას ვკოცნი, როგორც მინდია.

როცა ლექსს ვწერ, დილაა თუ ბინდია,
საქართველო ჩირაღდანად მინთია.

დაცვარული ლოდები ვარ ვარძიის.
მყინვარიდან აფრენილი არწივი,
წინაპრების საფლავების მკოცნელი,
გათანგული სიმღერით და ოცნებით
და ლერწმებთან ბულბულივით გაზრდილი.

როცა ლექსს ვწერ, დილაა თუ ბინდია,
საქართველო ჩირაღდანად მინთია.

რუსთაველის სტრიქონი ვარ ართქმული...
მახვილივით მტერზე წამომახვილი.
დარიალზე მოხვეული ნისლი ვარ,
სააკაძის ჭრილობებს სისხლი ვარ
და კრწანისთან გაკვესილი ფრანგული.

თეთრი მტრედის აფეთქილი გული ვარ,
მარტო ლექსი, მარტო სიყვარული ვარ.
პატარაც ვარ, ამ სტრიქონის ხნისა ვარ.
როცა ლექსს ვწერ, დილაა თუ ბინდია,
საქართველო ჩირაღდანად მინთია.

ხ მ ა მ ი წ ი ს ა

მიცან და მენდე, მენდე და მიცან,
ეს მე ვარ, მე ვარ — ქართული მიწა.
ეს მე ვარ, ვისაც გაჩენის დღიდან
არ გამერია ჭაღარა თმაში
და მხრებით ვზიდე, მარტოკამ ვზიდე
ამაყი მთები, ხმალი და ვაზი.
ვზიდე მამულის ცრემლი და სეტყვა,
ტაძარი, ციხე, სამარის ლოდი,
შენც თუ გაგიშლი, მადლობა მითხარ,
ვენახის ლერწით დალამბულ ლოგინს.
...და მე გათხოვე თვალები ჩემი
გამტყდარ ოცნების უძირო ტბებად,
მოღერებული ჯეირნის ყელი,
ზედ რომ ჩხავერის შხეფები წვეთავს,
და მე გასესხე ძლიერი მკლავი,
რომ გვიან ისევ უღონო მომცე
და დამიბრუნო დუმილით მაინც
ის ბაგე — რითაც სამყარო ჰკოცნე.
ფიქრის საწნახელს დარდით ნუ ავსებ,
მას დაცლის მაინც არდავიწყება,
ჩუმად, ჩემს მკლავზე იძინებს ვაზი
და ბროწეულის ხარხარი წყდება...

სააკაძის ძახილი

ქართლის მიწა ჩოხის კალთით დამქონდა,
მისთვის ღამე მითევია თეთრადა.
სხვა მიწაზე შავი მერნით დავქროდი
და ჩემს მკერდში საქართველო ფეთქავდა.

მარჯვენა და ხმალი ერთად მიჭრიდა,
წინ მიძღოდა ჩემი მიწის ხატება,
განსაცდელში ჩავარდნილს თუ მიჭირდა,
მასზე ფიქრი ძალას მომმატებდა.

მაგრამ როცა დამილეწეს ბეჭთარი,
ჩემის ხელით გადავტეხე მახვილი.
ოჰ, გული კი მანდ დავტოვე მფეთქავი,
დაჭრილი ვარ, გესმის ჩემი ძახილი?

ნოსტეს ციხეც! ნისლი მოგიხვევია,
სამშობლოში გშვენის მხარგაშლილობა.
ღრუბელი რომ ციდან მოგიხევია,
მაგ ღრუბელით დამიფარე ჭრილობა.

მხოლოდ ჭარი არის სევდით მდაფნავი,
გვერდით ძმები სისხლით შენაფიცარი.
სხვა მიწაში მტანჯავს ჩემი საფლავი
და ღალატით ჩანჯრეული ფიცარი.

მზე ჩამიქრა, დავეცი და დაბინდდა,
არ მეუირსა საქართველოს ამბორი.
მტკვრის ხმა აღარ ჩამომესმის ნანინად,
არც მცხეთა ჩანს და არც ჩემი სამგორი.

ამომიღეთ, მთები გადამატარეთ,
მკერდზე მწველი ამაცალეთ ისარი,
ქართლის მიწა გულზე გადამაყარეთ,
იქ წაიღეთ ჩემი კუბოს ფიცარი.

...დაიდგა ესტონურ ენაზე

ქინგისეპის სახელობის ტალინის სახელმწიფო აკადემიურმა დრამატულმა თეატრმა ცოტა ხნის წინათ მაყურებელი მორიგ პრემიერაზე მიიწვია და უჩვენა ალექსანდრე ჩხაიძის პიესა „ხიდი“.

წარმოდგენა დადგა რეჟისორმა ს. ლერმანმა, მხატვარია ე. პეილი. მთავარი როლები შეასრულეს ცნობილმა ესტონელმა მსახიობებმა აჰსელ ორავმა და მიელი სეედმა.

„ხიდი“ ერთ-ერთი დამაშვენებელი სპექტაკლია იმ მრავალფეროვანი თეატრალური აფიშისა, რომელიც ხელოვნების მუშაკებმა ესტონეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს მიუძღვნეს. ამ დღეებში ესტონურ თეატრებში ქართველი დრამატურგები კიდევ რამდენიმე პიესით არიან წარმოდგენილი. თეატრ „ვანემუინეს“ სცენაზე წარმატებით გაიმართა ოტია იოსელიანის პიესის — „სანამ ურემი გადაბრუნდება“ — პრემიერა. რეჟისორ ე. კაიდუს პიესაზე მუშაობისას მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა დრამატურგთან.

ამჟამად ტალინის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მუშაობენ სულხან ცინცაძის ბალეტის „დემონის“ დადგმაზე. სპექტაკლს ამზადებს ე. სუვე.

სიჭაგუკის წკამალი— საქართველოში

თითქმის ორ კვირას იყო სტუმრად საქართველოში კონექტიკუტის უნივერსიტეტის (ამერიკის შეერთებული შტატები) სოციოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი უოლტერ მაკკეინი. ცნობილ ამერიკელ სოციოლოგსა და გერონტოლოგს, ჩვენი ქვეყნის შესახებ ბევრი სტატიის ავტორს აინტერესებდა ქართველ დღეგრძელთა ცხოვრება, საბჭოთა კავშირის სოციოლოგიისა და გერონტოლოგიის დარგის მეცნიერული გამოკვლევები. იგი იყო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს იოსებ ყორდანიას სახელობის ჭალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სოციალური გერონტოლოგიის ლაბორატორიაში, რომელსაც პროფესორი გრიგოლ ფიცხელაური მეთაურობს.

მეცნიერზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ფილმმა ქართველ დღეგრძელთა შესახებ, საქართველოს ბევრი ასი წლის მოხუცის გაცნობამ. ამერიკელი სტუმარი იყო შორეულ მთიან სოფლებში, ესაუბრა ასწლოვან ადამიანებს, გაეცნო მათ ცხოვრებას, შრომისა და დასვენების პირობებს.

პროფესორმა მაკკეინმა საქართველოდან წასვლის წინ განაცხადა:

— უკვე მესამედ ვარ საბჭოთა კავშირში და ყოველთვის ჩამოვდივარ საქართველოში. ღრმად მწამს: ქართველები დიდხანს იმიტომ ცოცხლობენ, რომ ერთსულოვანი არიან, ერთმანეთს გულთბილად და გულისხმიერად ექცევიან. თქვენი ხალხი კეთილი, სტუმართმოყვარე და გულღია ხალხია.

ყოველთვის, როცა საქართველოში ჩამოვდივარ, მგონია, სწორედ აქ ვიპოვი-მეთქი სიჭაბუკის წამალს, რომელსაც დიდი ხანია ვეძებ და თუმცა ჯერ არ მიპოვია, მაინც ვატყობ, ძებნის ადგილი სწორედ შემარჩევია.

არ გეგონოთ, გული გამტეხოდეს, არა, თქვენთან ყველაფერი კარგია: ხალხიც, ბუნებაც. თქვენებურ დღეგრძელთა კონკურენტი ვიქნებოდი, საქართველოში რომ ვცხოვრობდე...

ქ ა რ თ უ ლ ი წ ი გ ნ ი 1972 წ ე ლ ს

როგორც ცნობილია, იუნესკოს გენერალური კონფერენციის 1970 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით, წიგნის საერთაშორისო წელიწადად გამოცხადებულია წლევანდელი 1972 წელი. გათვალისწინებულია უამრავი ღონისძიება. გაიმართება წიგნის ეროვნული ფესტივალები და კვირეულები, წიგნის საერთაშორისო ბაზრობები კაიროში, ნიუ-დელიში, ნიცაში, ვარშავასა და სხვა ქალაქებში.

ჩვენი რესპუბლიკის გამომცემლობები წიგნის საერთაშორისო წელიწადს წარუდგებიან სამი საუკეთესო გამოცემით: ილია ჭავჭავაძის რჩეული ნაწარმოებები ორ წიგნად „სასაჩუქრო გამოცემის“ სერიით (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“), შალვა ამირანაშვილის „ხახულის კარები“ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე (გამომცემლობა „ხელოვნება“) და ვახტანგ ონიანის სვანური ეპოსი „ლადლერ“ (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“).

„მერინის“ დარბაზში საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი მოაწყობს გამოფენას — „ქართული წიგნი 1972 წელს“.

„საქწიგნი“ 1-5 მაისს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გამართავს ბაზრობებს, მოეწყობა გასვლითი ვაჭრობა დიდ საწარმოებში. „წიგნის კვირეული“ მიეძღვნება ავრეთვე ახალი სასწავლო წლის დაწყებას. გაიმართება „წიგნის დღე“ და სხვა.

დღითიდღე ვიზრდებით



საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის **თეიმურაზ დავითაშვილის** საუბარი გაზეთ „სამოგზაუროს“ კორესპონდენტ **ჯემალ ქურხულთან**

● ბატონო თეიმურაზ, საქართველო დღეს მდიდარია საავტომობილო ტრანსპორტით — რას გვეტყოდით მის პირველ ნაბიჯებზე ჩვენს მიწაზე, — ვინ იყვნენ მაშინდელი ავტომობილების მფლობელნი?

გერმანელი მექანიკოსების — ბენცისა და დაიმლერის მიერ 1886 წელს აგებული ბენზინისძრავიანი პირველი ავტომობილი საქართველოში გაჩნდა გვიან, მეოცე საუკუნის დამდეგს. პირველი ავტომობილი საქართველოში მეფის ნაცვლის ოჯახს ეკუთვნოდა, 1905 წლისათვის თბილისში სულ რამდენიმე ავტო იყო და ერთ-ერთი მათგანის მფლობელი გახლდათ ცნობილი მრეწველი, დიდი მამულიშვილი, საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი დავით სარაჯიშვილი.

1913 წელს ქუთაისის გუბერნატორად დაინიშნა გრაფი გუდოვიჩი, რომელმაც მოისურვა გუბერნია მერსედესის მარკის ავტომობილით შემოევლო. მას მოახსენეს, რომ მდინარეებზე არ იდო ხიდები და საერთო უზრუნველყოფა გაუჭირდებოდა მოძრაობა. მაშინ ჭირვეულმა გუბერნატორმა ბრძანა თითოეულ მდინარის ფონთან ჰყოლოდათ ხარ-კამეჩი, რითაც ავტომობილსა და მთელ ამალას წყალში გაათრევდნენ. გუბერნატორმა თავისი ჟინის შესრულებას 40 დღე მოანდომა. თანაც მიუღწეველი დარჩა სვანეთი და ზემო რაჭა დღეს კი მთელ დასავლეთ საქართველოს „ვოლგა“ ორ დღეში შემოივლის.

● იმ დროიდან როგორ მოვედით დღემდე?

1921 წლის 3 მარტს, საქართველოს რევოლუციური კომიტეტის გადაწყვეტილებით, შეიქმნა ცენტრალური საავტომობილო სექცია ძველი კომუნისტი ავტომძღოლის ივანე დათუნაშვილის თავმჯდომარეობით. სექციამ აღრიცხა, შეაგროვა, წესრიგში მოიყვანა ყველა ავტომობილი და ყოველგვარი სახის ავტომოწყობილობა. უკვე 1922 წელს მოეწყო პირველი საზოგადოებრივი ავტომეურნეობები თბილისში, ქუთაისში, სოხუმსა და ბათუმში, შეიქმნა ავტომოტო-საჭაპანო ტრანსპორტის სამმართველო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ძველი თაობის გამოჩენილი ტრანსპორტელი გიორგი ფიცხელაური.

1930 წლისათვის საქართველოს ავტოპარკებში უკვე 800 ავტომანქანა იყო. კიდევ ათი წლის შემდეგ კი ჩვენს სახალხო მეურნეობას 2.500 ავტომობილი ემსახურებოდა.

● რას გვეტყოდით თბილისის სამარშრუტო ავტობუსებისა და მსუბუქი ტაქსების პირველ ნაბიჯებზე?

დედაქალაქში ავტობუსმა 30-იან წლებში გაიარა. მაშინ ტრანსპორტი მხოლოდ ორიოდე მარშრუტით მოძრაობდა. პირველი ტაქსი კი 1934 წელს გაჩნდა. 35 მსუბუქმა ავტომობილმა „მ-1“-მა თავისებური შნო და ლაზათი შესძინა თბილისელთა ავტოტრანსპორტით მომსახურებას.

● როგორ გამოიხატება საქართველოს დღევანდელი ავტოტრანსპორტის ძალა ციფრების ენით?

საქართველოს ჰყავს ათი ათასობით სატვირთო, სამგზავრო და მსუბუქი ავტომანქანა. ამ სიმდიდრის ძირითადი ნაწილი — სატვირთო ავტოპარკი, ემსახურება ჩვენს მრავალდარგოვან სახალხო მეურნეობას. ისიც სათქმელია, რომ ტვირთის გადაზიდვის 64,6 პროცენტი რესპუბლიკაში საავტომობილო გადაზიდვაზე მოდის.

ამჟამად საქართველოს დიდ ქალაქებში — თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში მოწყობილია შიგასაქალაქო მარშრუტების ხშირი ქსელი. რესპუბლიკაში სულ მუშაობს 230 საქალაქო მარშრუტი, მარტო დედაქალაქში 850 კილომეტრი სიგრძის 78 საავტობუსო მარშრუტია. ამავე მარშრუტებით გადაჰყავთ მგზავრები კომფორტულ მიკროავტობუსებს.

თბილისის ტაქსმოტორული მარშრუტები აერთებენ ძირითად და სამრეწველო რაიონებს ქალაქის ცენტრთან და უზრუნველყოფენ თითქმის მილიონიანი დედაქალაქის მგზავრთა ექსპრესულ გადაყვანას.

ჩვენში 23.900 კილომეტრი სიგრძის 952 სარაიონო მარშრუტია. ავტობუსები დადიან თითქმის ყველა სოფელში, ხოლო საქართველო 37 საავტომობილო მარშრუტით დაკავშირებულია რუსეთთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან.

რა თქმა უნდა, ამ საქმეების შემოქმედნი ჩვენი ავტოტრანსპორტელები არიან. მათ იციან, რომ მშრომელთა კეთილდღეობას ემსახურებიან და პატიოსნად აკეთებენ თავიანთ საქმეს, ასობით მძღოლი დაჯილდოებულია მთავრობის საპატიო ჯილდოებით, ორდენებითა და მედლებით, ხოლო უკეთესთა შორის საუკეთესოს, თბილისის 1-ლი სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს ვახტანგ ემნაძეს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა.

● ვინ მიგაჩნიათ ღირსად ანდოთ ათასობით ადამიანის სიცოცხლე — ვის ეძლევა სამგზავრო ავტობუსისა და მსუბუქი ტაქსის მძღოლის საგზური?

იჯდე ავტობუსისა და მსუბუქი ტაქსმოტორის საჭესთან, მოემსახურო ხალხს — ეს უთუოდ დიდი და საპატიო მოვალეობაა. ამის პირნათლად შესრულება ძალუძს მხოლოდ ავტომობილის მართვას ზედმიწევნით დაუფლებულ და პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე, მაღალი მორალური თვისებების მქონე ადამიანს. სწორედ ამ მოთხოვნათა თვალსაზრისით ვარჩევთ სამგზავრო ავტომობილების მესაჭეებს.

● რა სიახლეა მგზავრთა მომსახურებაში?

დიდ ქალაქებში დილა-საღამოს განსაკუთრებული ხალხმრავლობაა. მოგეხსენებათ, ადამიანები ამ დროს მიდიან ან ბრუნდებიან სასწავლებლიდან თუ სამუშაოდან. მგზავრთა დროულად და უკეთ მომსახურებისათვის ამ დროს თითქმის ყველა მარშრუტზე დამატებით გამოგვყავს „ლაზ-677“ მარკის 110 მგზავრის ტევადობის ავტობუსები. საღამოს საათებში გახანგრძლივებულია ავტობუსების ხაზზე ყოფნა, ხოლო თბილისში დაწესებულია ღამის საავტომობილო მარშრუტები. მაინც მგზავრთა კულტურული მომსახურების მთავარ სიახლედ მიგვაჩნია ტაქსმოტორების რადიოტელეფონით აღჭურვა, რაც მგზავრს საშუალებას მისცემს ნებისმიერ დროს გამოიძახოს ტაქსმოტორი. ეს სიახლე უკვე განხორციელებულია ქალაქ ბათუმის მსუბუქი ტაქსმოტორების ავტოსატრანსპორტო საწარმოში, ხოლო როცა ექსპლუატაციაში გადაეცემა თბილისის ახალი სატელევიზიო ანძა, საშუალება გვექნება რადიო-სატელეფონო კავშირით აღვჭურვოთ თბილისში მომუშავე ტაქსმოტორებიც.

● როგორი იქნება ავტოტრანსპორტელების ხვალინდელი დღე; რას გააკეთებთ მშრომელებისათვის მომავალში?

ყველა მარშრუტზე, სადაც კი საგზაო პირობები საშუალებას მოგვცემს, მცირე ტევადობის ავტობუსები შეიცვლება საშუალო სიდიდის მანქანებით, ხოლო ისეთ მარშრუტებზე, რომელთა სიგრძე 200 და მეტი კილომეტრია, იმუშავებენ რბილრ, ჯომფორტული, დიდი ტევადობის ავტობუსები.

გაიხსნება ახალი საგარეუბნო და სარაიონო მარშრუტები. კიდევ უფრო სრულყოფილი გახდება სატვირთო სამგზავრო ავტობუსების მოძრაობა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე განლაგებული კურორტების ზონაში.

გაფართოვდება და ამუშავდება ახალი მსუბუქი ტაქსმოტორების საწარმოები თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმსა და გაგრაში.

ავტოტრანსპორტელებს დღითიდღე გვემატება ძალა, დღითიდღე ვიზრდებით. ჩვენი ძალა თანამედროვე ავტოტექნიკას ემყარება, რითაც დღეს ჭეშმარიტად მდიდარია საქართველო.



სურათებზე: ზევით — საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ მაღრაძე და მინისტრი თეიმურაზ დავითაშვილი; ქვევით: მარცხნიდან — თბილისის სატაქსმოტორო გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილე გიორგი გაჩეჩილაძე, გენერალური დირექტორი შოთა გოჩაძე, მთავარი ინჟინერი ვიქტორ ინაშვილი და მეორე სატაქსმოტორო საწარმოს დირექტორი ანზორ ღუდუშაური.

ამჟამად ეტლები დაგრიალებდნენ თბილისის ქუჩებში. ცხენთა ფლოქვების თქარა-თქური ჯერ კიდევ სრულუფლებიანად ერწყმოდა საქართველოს დედაქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებას. ილეოდა 1934 და შემოდიოდა ახალი, 1935 წელი. იმ წელიწადს თბილისელებმა კარგი საახალწლო საჩუქარი მიიღეს — დედაქალაქის ქუჩებში პირველი მსუბუქი ტაქსები გაჩნდა.

მას შემდეგ ბარე ოთხმა ათეულმა წელიწადმა განვლო.

დღეისათვის ყოველდღიურად დედაქალაქის ქუჩებში 2 ათასამდე მსუბუქი ტაქსი გამოდის...

თბილისის სატაქსმოტორო ტრანსპორტის საწარმოო გაერთიანებაში პირველი და მეორე კლასის 4673 მძღოლია. მათთან ერთად შრომობს ავგრეთვე ასეულობით ინჟინერ-ტექნიკოსი. თითოეულს თავისი წვლილი შეაქვს თბილისელთა ავტოტრანსპორტით მომსახურებაში, რომელთა შორის არიან რჩეულნი. უკვარიოდ მუშაობს 4620 მძღოლი. 18 მძღოლს და 4 ავტოშემკეთებელს მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, ხოლო საქართველოს დამსახურებული ტრანსპორტელის წოდებას 26 ადამიანი ატარებს.

თბილისის მეორე მსუბუქი ტაქსების საწარმოში მუშაობს დიდი სამამულო ომის მონაწილე, იტალიის პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, „ჯუზეპე გარიბალდის ვარსკვლავის“ კავალერი ნიკოლოზ გიორგაძე.

თბილისის პირველი მსუბუქი ტაქსების საწარმოში ექსპლუატაციის უფროსის თანამდებობაზე, მუშაობდა საბჭოთა კავშირის გმირი, სახელგანთქმული მფრინავი-შევარდენი შოთა შურღაია, რომელიც ამ დღეებში ახალი, მეხუთე სატაქსმოტორო საწარმოს დირექტორად დანიშნეს.

უფროსი თაობის წარმომადგენლები ძალზე ბევრნი არიან. ძირითადად მათ მხრებზე გადადის თბილისელთა ავტოტრანსპორტით მომსახურების სიმძიმე. ისინი ამავე დროს ახალგაზდებს თავიანთ სახელოვან ტრადიციებს უზიარებენ, მერე კი ერთად მუშაობენ მგზავრთა კულტურული მომსახურების ფორმების სრულყოფაზე.

მოსახლეობის ტაქსებით მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ყოველ დილა-საღამოს ქალაქის ტაქსმოტორების გაერთიანება გამოყოფს 700-მდე ავტომობილს, რომლებიც ტალონებით ცხადდებიან მგზავრების დიდი თავშეყრის ადგილებში. ამის გარდა, მგზავრნაკადის შესწავლის შემდეგ შემუშავდა და დაინერგა ავტომობილების ხაზზე გასვლისა და უკან დაბრუნების გრაფიკი. ამ ღონისძიებამ ტაქსების მუშაობაში რიტმულობა დაიკანონა, გაუმჯობესდა ღამის საათებში ტაქსების მუშაობა.

რამდენიმე ადგილას შეიქმნა გამოძახების პუნქტები, საიდანაც შეიძლება დღე-ღამის განმავლობაში ნებისმიერ დროს გამოიძახო ტაქსი.

დიდი მოწონება დაიმსახურა მოსახლეობაში მატარებლიდან და თვითმფრინავიდან ტაქსის გამოძახებამ.

ისიც სათქმელია, რომ თითოეული ტაქსი სახელმწიფოს დიდ მოგებას აძლევს. ყოველთვის გადაჭარბებით სრულდება ფასიანი გარბენის, შემოსავლისა და მოგების გეგმები, აქედან გამომდინარე დედაქალაქის ტაქსმოტორების საწარმოთა გაერთიანება ყოველწლიურად იძლევა 8 მილიონ მანეთ მოგებას.

მეცხრე ხუთწლედში ავტოტრანსპორტელებსაც აქვთ გეგმები. მალე „გაზ-21“ მარკის ავტომობილები სრულიად შეიცვლება ახალი კომფორტული „გაზ-24“ მარკისა და მისი მოდიფიკაციის ავტომობილებით, რომლებიც ბევრად გაუმჯობესებულია და, რაც მთავარია, მოძრაობის უშიშროების თვალსაზრისით უფრო საიმედოა.

უკვე წლეულს შესამჩნევად გაიზრდება მსუბუქი ტაქსების რიცხვი. მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით გვინდა გავხსნათ სამი ახალი ავტოსაწარმო, ერთ-ერთში გაერთიანდება მსუბუქი ტაქსები, ავტობუსები, ექსპრესები და მოემსახურება აეროპორტს. თბილისის მესამე ტაქსმოტორების საწარმოსთვის შვიდსართულიანი ნაგებობა შენდება, რომელიც 1973 წლისათვის დასრულდება.

მსუბუქი ტაქსების მეორე საწარმოში უკვე ამონტაჟებენ დანადგარებს საწარმოო ტელევიზიისათვის. ეს ხელს შეგვიწყობს სწორად წარვმართოთ თითოეული ავტომანქანის მუშაობა.

საქართველოს დედაქალაქი არ ჩამორჩება მეოცე საუკუნის საავტომობილო სიახლეებს.

შოთა გოჩაძე,
სატაქსმოტორო ავტოტრანსპორტის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი.



სურათზე: ნიკოლოზ გიორგაძე თავის ოჯახთან ერთად.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტოები

ალუდას თოფი არ შნდა...

ქველმა თბილისელმა ავტომძღოლმა ნიკოლოზ გიორგაძემ ახალი ბინა მიიღო; ოჯახში გადმობარგებისა და ახალსახლობის სასიამოვნო არეულობაა. შუახნის ცოლ-ქმარი ციბრუტივით ტრიალებს...

დიასახლისი მარია გაქართველებული რუსი ქალია. ნიკოლოზი ჰაბუკური ხალისით მიყვება თავიანთი დაოჯახების ამბავს; მაშინ 26 წლისა ვიყავი და რკინას ვკვნეტდი. როცა თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანი“ ამუშავდა, სპეციალისტები არ გვყოფნიდა და მოსკოვიდან ერთიმეორეზე უკეთესი გოგოები ჩამოგვეშველნენ. მე ერთობ ვივაჭკაცე, იმდენ თვალმახარებში ყველაზე კარგი დავისაკუთრე და მას შემდეგ ერთად ვეწევითო ცოლქმრულ უღელს...

ხუმრობს ნიკოლოზი, მართალს კი ამბობს. ორი ქალიშვილის მამაა. უფროსი კონსერვატორიის პედაგოგია, უმცროსი უნივერსიტეტს ამთავრებს. ვაჟი არა ჰყავთ და ეს სიცარიელე მთლიანად შეავსო 4 წლის შვილიშვილმა ჯიმოშ, რომელიც ეხლა სიცილ-კისკისით დარბის ოთახებში. ბინაში საღებავების სუნი ტრიალებს, ავეჯს თავისი ადგილი ჯერაც ვერ უპოვია, მაგრამ ირგვლივ მაინც სითბო და მყუდროება იგრძნობა.

ამ მყუდროების მოსაპოვებლად ნიკოლოზს წლობით უშრომია. იგი საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის სახელს ატარებს, არის 9 საბრძოლო მედლის კავალერი. მათ შორის ყველაზე საჩინო ჯილდო — „ჯუზეპე გარიბალდის ვარსკვლავი“ თვით იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ლუიჯი ლონგომ გადასცა. ეს მოხდა რომში 1966 წელს. იტალიაში მებრძოლი პარტიზანები გამარჯვების 20 წლისთავს ზეიმობდნენ. ყველანი ბედნიერები იყვნენ, მეგობრებთან შეხვედრით ხარობდა ნიკოლოზიც. ისინი კვლავ ერთად დადიოდნენ ჩრდილოეთ იტალიის იმ გზებსა და ბილიკებზე, რომლებსაც დღეს მათი საბრძოლო ნაკვალევი ჰქვია.

* * *

დაჭრილი მესამე დღეს მოვიდა გონს, ძლივს აღიდგინა მეხსიერებაში ალყაშემორტყმული მატარებელი. მტრის ყუმბარებისაგან დანგრეული ორთქლმავალი ადგილიდან ვეღარ იძროდა და ჯავშნოსანი სასიკვდილოდ განწირულ სამიზნედ გადაქცეულიყო...

გერმანელებმა ლვოვის ჰოსპიტალში მოათავსეს დაჭრილი წითელარმიელი. ნიკოლოზ გიორგაძის დახვრეტა მათ ხელს არ აძლევდათ. ვერმახტი ეროვნულ ლეგიონებს ქმნიდა... გამოჯანმრთელებულმა ნიკოლოზმა იმ ლეგიონის საგზური მიიღო და პოლონეთში გაამგზავრეს.

ლეგიონიდან ჯგუფებად გაობოდნენ ქართველები. ფორიაქობდნენ გერმანელები, იწყებოდა ძებნა, ჩხრეკა. ადამიანები აღვილად გაჰყავდათ დასახვრეტად, კაცი ჩალადაც არა ფასობდა.

ნიკოლოზი ვერავის მიეკედლა, ლეგიონიდან მარტო გაიქცა ვარშავისაკენ ტყე-ტყე იარა, მშიერ-მწყურვალი პოლონელმა გლეხმა დააპურა, ძველმანები აჩუქა, მერე პირჯვარი გადასახა, ღმერთმა ხელი მოგომართოსო...

კვლავ ფაშისტებს ჩაუვარდათ ტყვედ. არაადამიანურად აწამეს, მერე გერმანიაში გაგზავნეს, იქიდან საბჭოთა ტყვეებთან ერთად იტალიაში ჩაიყვანეს და სისხამ დილიდან დაღამებამდე, ქანცის გაწყვეტამდე ამუშავებდნენ.

ყოველი დღე, საათი, წუთი და წამი შურისძიების ცეცხლს უღვივებდა ნიკოლოზს, ადამიანური მოთმინების საწყაო პირთამდე აეევსო. მის ბედში სხვებიც ბევრნი იყვნენ და იფეთქა ჯაყვებამ, ჩრდილოეთ იტალია პარტიზანული ბრძოლების ცეცხლში გაეხვია. ფაშიზმის წინააღმდეგ იტალიელებთან ერთად ტყვეთა ბანაკებიდან გაქცეული საბჭოთა ჯარისკაცებიც იბრძოდნენ, შურისმაძიებელთა შორის ნიკოლოზიც გაერია.

თბილისელი ვაჟკაცის მკლავებს დიდ ფულად ჯილდოს ჰპირდებოდნენ გერმანწყლები. ძალიან თმწარებდა ფაშისტებს!

გარიბალდელთა მეოთხმოცე ბრიგადასთან ერთად მრავალ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. პარტიზანები აფეთქებდნენ გერმანელების ავტოკოლონებს, ანადგურებდნენ მათ ცოცხალ ძალას. საომარი ბატალიების სცენაზე როლები იცვლებოდა — ფაშისტები ხდებოდნენ გუშინდელ ტყვეთა ტყვეები. ნიკოლოზ გიორგაძის რაზმი ცხვრის ფარასავით მიერეკებოდა გერმანელებს მთებში და ისინი მოკატუნებულნი გაიძახოდნენ: თქვენ კარგები ხართ, იტალიელებო, კარგებიო.

ნიკოლოზის შურისძიების საწყაო ვერ იცლებოდა... ერთმა გერმანელმა თავი შეაკლა და ის კაცი მუცალივით დაახსომდა ალუდას შთამომავალს.

ჩრდილოეთ იტალიაში, სოფელ პიესავდეს გზაზე ნიკოლოზის კბილებამდე შეიარაღებული ხუთეული „ფიატით“ ჩასაფრდა. ამნაირ რეიდს ნადირობას ეძახდნენ პარტიზანები... ამჯერად დიდი ნადირი ჩაუვარდათ ხელში.

მდიდრული მსუბუქი ავტომანქანის საჭესთან თვით გერმახელი გენერალი იჯდა და მოღუშული უყურებდა პარტიზანებს, რომლებსაც მისკენ ავტომატები მიეშვირათ.

ნიკოლოზმა მანქანის კარი გაწია. გერმანელ გენერალს თავი დაუკრა და რუსულად ვისაუბროთო, შესთავაზა.

— რუსული არ ვიცი, — გერმანულად თქვა გენერალმა.

— მაშინ იქნებ იტალიურად გვესაუბრა, ბატონო, — ჩაუხირდა ნიკოლოზი.

— არც იტალიური ვიცი, — პირქუშად მიუგო გერმანელმა.

ნიკოლოზმა გენერლის ადიუტანტს სახიფათოდ წამოწეული პისტოლეტის ბუდე ჩამოჰგლიჯა და მყისვე ცივმა ოფლმა დაუნამა შუბლი — გენერლის ხელში პისტოლეტი აპრიალდა... მაგრამ ნიკოლოზმა დაასწრო. გერმანელი უსულოდ მიწვა სავარძელზე, მისმა ტყვიამ კი მხოლოდ ავტომანქანა გახვრიტა.

ომი უმსხვერპლოდ როგორ იქნება, მაგრამ ის კაცი პირისპირ შემომაკვდაო, — გაიხსენებს ხოლმე ნაღვლიანად.

— ალუდას თოფი არ უნდა...

ლაშა გარეჯელი

დიდებამ თვითონ იპოვა

უბრალო პროფესიის ადამიანია, რომლის მსგავსნიც ბევრნი გვყვანან. აკი თვითონაც ამბობს: მერე რა, საწარმოო დავალებებს ყოველთვის პირნათლად რომ ვასრულებ, ამის გამკეთებელი არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი უნდა ვიყო.

და მაინც ეს გამორჩეული კაცი — ალალი, გულმართალი, ქვეყნისა და ოჯახის, საქმის მოყვარული — დიდებამ თვითონვე იპოვა. თბილისის პირველი სატვირთო ავტომობილების საწარმოს მძღოლი ვახტანგ ემნაძე სოციალისტური შრომის გმირია.

დაიბადა ამბროლაურის რაიონის სოფელ ტბეთში, აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა.

დაოჯახდა.

წლები ღირსეულ შრომაში გადიოდა.

სამი ქალიშვილის მამა გახდა.

სამშობლო ყველას უყვარს და ამ სიყვარულს თითოეული თავისებურად გამოხატავს. ვახტანგი ყოველთვის თითმცლელ ავტომობილებზე მუშაობს და დედაქალაქის მშენებლობებზე თავის აგურს აწყობს. ეს ფრაზა ლამაზად დაამკვიდრეს მწერლებმა და ჟურნალისტებმა, შენების სინონიმადვე შეგვიძლია გამოვიყენოთ ცემენტის ეს ხსნარიც, რომელსაც ვახტანგი მშენებლობებზე ეზიდება.

უყვარს და უხარია დღევანდელი თბილისი. კმაყოფილებას გრძნობს, როცა ბოლო წლებში ატყორცნილ მრავალსართულიანებს შესცქერის. ამ შენებაში ხომ ვახტანგის ხელიც ურევია! მისი მანქანა „ზილი“ მაღლივშენის ტრესტს ემსახურება. ტრესტის ეს პოეტური სახელწოდება კი, ალბათ, იქიდან მოდის, რომ მისი მშენებლების ნაშრომი ამ დიდებული, თანამედროვე სახლების აგება.

მშენებულით ტკბობა ერთობ დიდებული გრძნობააო, ხშირად ვახტანგმა. ამ სიტყვების მიღმა ჩვენგან უდროოდ წასული ნიჭიერი მწერალი გურამ რჩეულიშვილი დავლანდე და ვიგრძენი, რომ მძღოლს მხატვრული ლიტერატურა უყვარს.

ეს სიკეთე ოჯახში ყველას გვაქვსო, მითხრა. დედ-მამას უკვე გაგვასწრეს შვილებმა. უფროსმა ქალიშვილმა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა, შუათანა პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობს, უმცროსი მეექვსე კლასშია, მაგრამ წიგნის სიყვარულში ყველას ჩამოგვრჩებაო.

რომელი მწერალი გიყვარს-მეთქი, ვკითხე.

— შოთა, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, ვაჟა, დღევანდლებში კონსტანტინე გამსახურდია.

რა დაგახსომდა-მეთქი ამ მწერლისა?

საკმაოდ ბევრიო, უბრალოდ და არა თავმომწონებით მიპასუხა მძღოლმა — აი, მაგალითად:

„... ენა ქართული — მყინვარივით გულზვიადი.
ენა ქართული — ზღვასავით ულევი.
ენა ქართული — თასმასავით მოქნილი,
ენა ქართული — ღმერთების ენა.

როცა მისი გენია შუბლზე მკოცნის, მაშინ ორლესული ხანჯალი იელვებს ჩემს პირში და ასე მგონია, მე თვითონ ვარ გამოუთქმელის წარმომქმნელი ღმერთი“.

კიდევ დამახსომდა სამშობლოზე და უცხოეთში მცხოვრებ ქართველებზე თქმული დიდოსტატი კონსტანტინეს პატივებიო, მითხრა თანამოსაუბრემ.

„—ჩვენ ისევე განუყრელი ვართ, როგორც ორი ფრთა ერთი და იმავე სამხრეთ მოწყურებული წეროსი, ცივსა და ღრუბლიან ქვეყნებში რომ დაყიალობს და მზეს ეძახის...

შენ ხარ ვენახი ჭეშმარიტი, მე შენი ლერწი,
მშობლიურ მიწის სინოყიერეს მონატრებული“.

გურანდუხტ იმნაიშვილი

უძველესი მეგობრობა

ვაიოშ ტარდი 1969 წლის შემოდგომაზე გავიცანი. მაშინ ცნობილი უნგრელი ქართველოლოგი მესამედ იყო საქართველოში. ჩვენი ეროვნული კულტურის ქომაგი სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობდა და თავის ნაშრომში საქართველო-უნგრეთის ისტორიული და კულტურული ურთიერთობის საკითხები უნდა გაეშუქებინა.

მტკვრისპირელ და დუნაისპირელ ხალხებს შორის უხსოვარი დროიდან ინასკვებოდა მეგობრობა, — თქვა მაშინ ლაიოშ ტარდმა და თავისი ნათქვამის გასამტკიცებლად დასძინა:

— უნგრელი ბერები და სწავლულები ყოველთვის ინტერესით იცქირებოდნენ კავკასიონის ქედის გადაღმა, სადაც ცხოვრობდნენ უძველესი კულტურის ქრისტიანები, რომელთა სიმდიდრეზე, კეთილშობილებასა და ვაჟკაცობაზე ლეგენდები დადიოდა. ისინი მოგზაურობდნენ საქართველოში, აღწერდნენ ივერიელთა პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას, ზნე-ჩვეულებებს, ცდილობდნენ დაეახლოებინათ მშვიდობისმოყვარე, მშრომელი ქართველი და უნგრელი ხალხი. ამ სურვილმა ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში იჩინა თავი ბერი იულიონ დომინიკელის ნაშრომში: „მოგზაურობა კავკასიაში“.

მაშინ ჩვენი გაზეთის მკითხველებსაც გააცნეს ეს შესანიშნავი ადამიანი და ნიჭიერი მკვლევარი. დავწერეთ, რომ ლაიოშ ტარდი ორ ათეულ წელიწადზე მეტია ეძიებს და სწავლობს ქართულ-უნგრული კულტურის ურთიერთობის საკითხებს, რომ ამ დროის მანძილზე მან შექმნა ყველა ქართველოლოგისათვის ესოდენ საჭირო მდიდარი ბიბლიოთეკა. საქართველოზე ოცამდე ნაშრომი ჰქონდა დაბეჭდილი. მათ შორის რამდენიმე „ბედი ქართლისაში“ გამოაქვეყნა. ლაიოშ ტარდი ავტორია ორი ისტორიული რომანისა, რომლებშიც ასახულია მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრება.

ლაიოშ ტარდის სადისერტაციო ნაშრომი იმთავითვე სწორ მიმართულებას იღებდა. ამაში დიდად დამავალეს თქვენმა მეცნიერებმა ალექსანდრე ბარამიძემ და ილია ტაბაღუამ, — გვითხრა უნგრელმა ქართველოლოგმა, რომელმაც ეს სახელი დიდი შრომით, ქართული კულტურის სიყვარულითა და ცოდნით მოიპოვა.

ლაიოშ ტარდი ყოველ ნაბიჯზე გრძნობდა ქართველების მხარდაჭერასა და მზრუნველობას. ჩვენ გვაინტერესებდა მისი ნაშრომი, რადგან ვიცოდით, რომ იგი ჩვენი ხალხების მეგობრობის საგალობელი იქნებოდა.

დიდ საქმეს შეეჭიდე, მაგრამ მჯერა: საქართველოს სიყვარული გამამარჯვებინებსო, — ამბობდა უნგრელი ქართველოლოგი. წარსული ორი წლის მანძილზეც მას არ შეუწყვეტია საქართველოსთან მიმოწერა. თანამშრომლობდა ჩვენს გაზეთში. მის კალამს ეკუთვნის ჩვენი გაზეთის შარშანდელი 13 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული სტატია „ვინ იყო ვახტანგ დადიანი?“ ლაიოშ ტარდი მისთვის ჩვეული აკადემიურობით გამოეხმაურა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ამირან ცამციშვილის საინტერესო წერილს, დაგვეხმარა ჩვენი წინაპრის ვინაობის დადგენაში.

ეხლახან უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა ლაიოშ ტარდის სადოქტორო ნაშრომი „უნგრელ დიპლომატთა მოგზაურობანი წარსულში“.

ლაიოშ ტარდს დიდი და ტევადი სამუშაო შეუსრულებია. იგი ეძიებდა და სწავლობდა უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველ დოკუმენტებს, ისტორიულ წყაროებს სხვა ქვეყნების ბიბლიოთეკებსა და არქივებში. ქართველოლოგი ამ მასალებს ეძებდა თბილისის, ბუდაპეშტის, ვენეციის, მილანის, რომის, პარიზის, ესპანეთისა და ავსტრიის დიდი ქალაქების არქივებში. საერთოდ მისი ნაშრომი მოიცავს ხანას უძველესი დროიდან თანამედროვე ეპოქამდე.

წიგნი „უნგრელ დიპლომატთა მოგზაურობანი წარსულში“ წარმოადგენს ვრცელი ბიბლიოგრაფიული სასიათის გამოკვლევას. ნაშრომში გამოვლენილია მდიდარი მასალა აზიისა და აფრიკის ზოგიერთ სახელმწიფოს, უწინარეს ყოვლისა სპარსეთსა, საქართველოსა, ეგვიპტესა და უნგრეთს შორის XV-XVI საუკუნეებში არსებულ დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ.

ლაიოშ ტარდის წიგნიდან ირკვევა, რომ ევროპის სახელმწიფოებთან ერთად, უნგრეთი, რომელსაც ამ პერიოდში ოსმალეთი ემუქრებ იდა, ცდილობდა ანტიოსმანური კავშირის შექმნას. ნაშრომში წარმოდგენილი მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია საქართველოსთან. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ 1596 წლის 25 აგვისტოთი დათარიღებული ქართლის მეფის სიმონ I-ის მიერ თბილისიდან ესპანეთის მეფე ფილიპე მეორისათვის გაგზავნილი წერილი.

წიგნის რამდენსამე თავში მოთხრობილია უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობაზე.

მეექვსე თავი ეძღვნება მეფე მატიაშის ახალ საელჩოს სპარსეთში. აღწერილია იანოშ მადიარის სპარსეთსა და საქართველოში მოგზაურობა 1473 წელს და მისი თავგადასავალი.

მეთორმეტე თავია ვერანჩიჩისა და ზაიას დიპლომატიური მოგზაურობა. ვერანჩიჩი და ქართველები. უნგრეთის განთავისუფლების გეგმა რუსების, მეგრელებისა და ჩერქეზების დახმარებით. სამეგრელოს მთავარი დადიანი და ვერანჩიჩი.

მეთხუთმეტე — ფერდინანდ I-ის ელჩები სპარსეთსა და საქართველოში. იშტვან ბატორის ცდა — შეიყვანა ქართველები და ჩერქეზები ანტიოსმანურ კავშირში.

მეთექვსმეტე — ჟიგმონდ ბატორის ტრანსილვანიის სამეფოსა და საქართველოს მეფე სიმონ I-ის ანტიოსმანური კავშირის წინ მომხდარი ამბები. მადრიდის მოლაპარაკება. სიმონ I-ის წერილი კავშირის შესახებ. ისევ საქართველოსა და სპარსეთის ელჩები რუდოლფთან.

მარტო ამ თავების დასახელებაც მეტყველებს, რაოდენ საინტერესო გამოკვლევასთან გვაქვს საქმე და რა დიდ მუშაობას ეწევა ჩვენი კულტურის დიდი მეგობარი ლაიოშ ტარდი, რომელმაც დაამტკიცა, რომ ჭეშმარიტად უსხოვარი დროიდან ინასკვება მეგობრობა მტკვრისპირელ და დუნაისპირელ ხალხებს შორის.

გიორგი მათურელი

ძმობა, ერთობა და სიყვარული

ხმა გულისა

ხალისით ავიღე კალამი ამ ორიოდე სიტყვის დასაწერად.

„ქართლის ცხოვრებაში“ ერთი საგულისხმო ლეგენდაა მოთხრობილი ჰაოსისა და ქართლოსის ძმობაზე. წარმოუდგენელია ამ ლეგენდას თავისი ისტორიული საფუძველი არ გააჩნდეს ..

ლეგენდა, დაე, ლეგენდად დარჩეს, მაგრამ ამ ორი ხალხის მეგობრობას რომ მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს — ეს არც ლეგენდაა და არც ზღაპარი. ეს მეგობრობა უფრო საცნაური გახდა მაშინ, როცა ორივე ხალხი მთელი ძალღონით იღვწოდა ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად.

დიახ, ქართველ და სომეხ ხალხებს შორის, მათ ფიქრთა მესაიდუმლე მგოსანთა შორის, მუდამ არსებობდა დიდი მეგობრობა და უზადო ძმობის ლეგენდარული კავშირი. ეს კავშირი უფრო განმტკიცდა დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით, როცა ორივე ხალხების მიწა-წყალზე საბჭოებმა გაიმარჯვეს.

შინაარსობრივად მეტად მდიდარია რევოლუციის შემდეგ განვლილი ნახევარსაუკუნოვანი მეგობრობის ისტორია. ფაქტების მარტო აღნუსხვასაც კი ვერ დაიტევს მოკლე სავაზეთო წერილი, ამიტომ ყურადღებას შევაჩერებ ლექსების ერთ პატარა კრებულზე, რომელიც ეხლახან გამოვიდა ქართულ ენაზე და სომეხმა პოეტებმა კარის მეზობელ ქართველ ხალხს მიუძღვნეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 50 წლისთავზე.

კრებულს ეწოდება „ხმა გულისა“. მასში შესულია ძველი და ახალი დროის სომეხი პოეტების რჩეული ლექსები, მიძღვნილი საქართველოსადმი.

კრებულის წინასიტყვაობაში, რომელიც ცნობილი სომეხი პოეტის გელამ სარიანის კალამს ეკუთვნის, ვკითხულობთ:

„ყოველი პოეტის გალექსილი ფიქრები, გრძნობები, ოცნებები და მისწრაფებები უპირატესად მშობლიური ხალხის სულიერი სამყაროს გამოხატვაა, მისი ამდენრეული სიხარული და ფიქრია.

ეს ძველთაძველი ჭეშმარიტებაა, როგორც თავად პოეზია არის ხანდაზმული... და თუ სომხური პოეზია, ოდითგან მოყოლებული ჩვენს დღეებამდე, უმღერის საქართველოს კეკლუც ბუნებას, მის რაინდ და ნიჭიერ ხალხს, მის უბადლო ლამაზ ასულებს, ბუნებრივია, ეს სიმღერა მხოლოდ ამა თუ იმ პოეტის საგალობელი კი არა, არამედ კარის მეზობლის წარმატებებითა და გამარჯვებებით შთაგონებული მთელი სომეხი ერის სიყვარულის დაღადისია ქართველთადმი, და რადგან ამ ორ ხალხს საუკუნეთა მანძილზე გვერდიგვერდ უცხოვრია, ერთნაირი ჰქონია ბედისწერა, ერთნაირი სიმწარე და სიტკბო უგემია, ერთი მტრები ჰყოლია და მათ წინააღმდეგ ბრძოლას ერთნაირი გრძნობით დაუმუხტია ისინი, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი ხალხი სისხლით მონათესავე ძმები არიან“.

ამ სტრიქონებში დიდი სიმართლეა და მას თითქმის ვერც ვერაფერს გამოაკლებ და ვერც ვერაფერს დაუმატებ. წინასიტყვაობა მთავრდება დიდი სომეხი პოეტის, ხალხთა მეგობრობის დაუცხრომელი მედროშის ოვანეს თუმანიანის გახსენებით და იქვე მოყვანილია მისი ლექსიდან — „საქართველოს პოეტებს“ —ორი ტაეპი:

„არა! რუსთველის ოქროს სიტყვები
როდი ხმაურობს მჭლედ და დუნეთა,
მის ამაყ აჩრდილს დღეს ჩვენც მივყვებით,
ვერა გვძლევს ტანჯვა საუკუნეთა.
. . . . . .
დე, ჩვენი ლექსის ნაზ ცისარტყელამ
მოსპოს ვერაგთა სისინი მტრული,
დე, ჩვენი ლექსი მოედოს ყველას,
ბედნიერებით გადაზღაპრული!“

კრებულში შესულია გამოჩენილი სომეხი პოეტების — ნაღაშ ჰოვნათანის, ოვანეს თუმანიანის, საიათნოვას, ვაჰან ტერიანის, ეღიშე ჩარენცის, ნაირი ზარიანის, გელამ სარიანის, ოვანეს შირაზის, სილვა კაპუტიკიანის, ამო საჰიანის და სხვების რჩეული ლექსები და ავეტიქ ისაკიანის პოეტური პროზის ნიმუში — „ქართველი აშუღის სიმღერა“.

ლექსები თარგმნილია უფროსი და უმცროსი თაობის ქართველი საბჭოთა პოეტების მიერ.

არჩილ დავითიანი

ავეტიქ ისაკიანი

(1875-1957)

დაიბადა გიუმრიში (დღ. ლენინაკანი). 1889 წლიდან სწავლობდა ეჩმიაძინის სასულიერო აკადემიაში, 1893 წელს ლაიპციგის უნივერსიტეტში შედის. 1898 წელს გამოქვეყნდა პოეტის ლექსების პირველი კრებული — „სიძღერები და ჭრილობები“. 1936 წელს საბოლოოდ დაბრუნდა უცხოეთიდან და დასახლდა ერევანში.

როგორც უდიდეს პოეტსა და პროზაიკოსს, სომეხი ხალხი დიდად აფასებდა და „ვარპეტს“ — ოსტატს უწოდებდა. იგი სიცოცხლეშივე აღიარეს სახალხო პოეტად, არჩეული იყო სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს ყველა მოწვევის დეპუტატად, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. გარდაცვალებამდე ითვლებოდა სომხეთის მწერალთა კავშირის საპატიო თავმჯდომარედ, მიკუთვნებული ჰქონდა პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემია, დაჯილდოებული იყო ლენინის ორი ორდენით და მედლებით.

დაკრძალულია ერევანში, კომიტასის სახელობის მწერალთა პანთეონში.

ქართველი აშუღის სიმღერა

ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, 1926 წლის ხეკტემბერში, უცხოეთიდან პირველად ვბრუნდებოდი სამშობლოში.

მატარებელმა კივილ-გუგუნით მიატოვა ბათუმი, შავი ზღვის ულამაზეს ნაპირებს შემოუარა, საქართველოს შუაგულისაკენ აიღო გეზი.

სარკმელთან მჯდარი უჩვეულო ცნობისმოყვარეობით გავცქეროდი არემარეს. ჩემთვის ყველაფერი ახალი იყო, ყველაფერი მომხიბლავი. მსიამოვნებდა თოვლით დაფარული მთაგრეხილების მზერა, მაღალი მწვერვალების ხილვა, ვცდილობდი იმ მწვერვალების დათვლას, მაგრამ ვერ ვახერხებდი — ისინი თანდათან ჩრდილში ეხვეოდნენ, ცის ლაჟვარდში იკარგებოდნენ.

ვუყურებდი მოყვითალო-მომწვანო ხეებს შორის ზღვისკენ გაქანებულ მჩქეფარე მდინარეებს.

წამით თვალწინ ჩამივლიდნენ ახლადაგებული თეთრი შენობები და მეისვე იმალებოდნენ.

ყურს ვუგდებდი თანამგზავრი ქართველების ლაპარაკს. ბევრები მშობლიური იყო, მაგრამ, აფსუს, რომ იმ მხიარული საუბრის შინაარსი არ მესმოდა და გულში ჩემს თავს ვსაყვედურობდი, საუკუნოვანი მეზობლის ენა რატომ არ შევისწავლე-მეთქი.

ცალკე ვიჯექი, შორეულ მოგონებებში ჩაძირული. ვიხსენებდი — რამდენ ქართველს ვიცნობდი, სათითაოდ აღვადგენდი მეხსიერებაში მათ სახეს: სად გავიცანი? რა პირობებში? — და ჩემს გონებაში ერთიმეორეზე ცოცხლდებოდნენ ნაცნობი ადამიანები.

მომაგონდა საქართველოზე წაკითხული წიგნები, ქართველი მწერლების ნაწარმოებები — მთიელების გულისთქმით აღსავსე რომანები ყაზბეგისა, ფაფარაშვილი გაფრენილი მერანი ბარათაშვილისა, არწივისებური ყივილი ვაჟა-ფშაველისა და მომეჩვენა თუ ყურში ჩამესმა ქართველი ხალხის ცხოველმყოფელი სიმღერები, ჯერ კიდევ იმ დროს გაგონილი, როცა სომხეთისაკენ მიმავალი სრულიად ახალგაზრდა, ათი დღე ვმოგზაურობდი სამხედრო გზით ვლადიკავკაზიდან თბილისამდე, თვალწინ დამიდგა იმ რომანტიული ხეობების ლამაზთვალება ტანწერწეტა ასულნი, მათი ნუკრივით მონარნარე სიარული, მათი ლაღი ცეკვა-თამაში.

სურამის გვირაბიდან გავედით თუ არა, ჩვენს ვაგონში ერთი უსინათლო მოხეტიალე აშუღი შემოვიდა, მხარზე გრძელი ფანდური ისე ჰქონდა გადაკიდებული, როგორც რუსთაველის რაინდებს კაპარჭი.

აშუღს მეგზურობდა ყმაწვილი ბიჭი. მგზავრებმა მაშინვე დაუთმეს ადგილი. აშუღი დაჯდა, ფანდური გადმოიღო, მომართა და დაუკრა. მღეროდა სასიამოვნოდ, მხურვალე გრძნობით. ჩემს გვერდით მეზობელს ვთხოვე და მან რუსულად გამაცნო სიმღერის შინაარსი.

„მე ძალიან უბედური ვარ, რომ ვერ ვუყურებ შენს ტურფა სახეს, ჩემო დედა საქართველო.

ამბობენ, შენი ცაც ისევე ლურჯია, როგორც შენი მაღალი მთების ფირუზოვანი ლურჯი ტბები.

შემოდგომაა ახლა. შენს ტყეებს ოქრო ჩაუცვამთ და ცისარტყელას ფერებით არის აჭრელებული ყველა ბილიკი.

და ამ მოვარაყებულ ბილიკებზე შენი ნუკრები დარბიან, ჩემო ლამაზო საქართველო!

მე მესმის შენი მხიარული ხმები, მესმის შენი ბედნიერების სიცილი, შენი ვაჟიშვილებისა და ქალიშვილების საამური სიმღერები, ჩემო ტკბილო საქართველო!

თავისუფლების მედროშე ლენინმა დაამსხვრია მეფის ხუნდები, ხელ-ფეხი რომ გკონდა შეკრული!

ამწვანებულხარ, აყვავებულხარ, ჩემო თავისუფალო საქართველო! ლხინია შენს ბაღ-ვენახებში, შენი ჭვევრები სავსეა ღვინით, სკები — ტკბილი თაფლით, ჩემო ბედნიერო საქართველო!

ახლა ცეცხლოვან რაშზე ამხედრებულ მამაც ჯაბუკ ჯარისკაცს ჰგევხარ, ჩემო ძველო საქართველო, წელზე ცეცხლოვანი ხმალი შემოგიკრავს და წითელი ალამი აგიმართავს.

ამიერიდან ვინ გაბედავს, პური და თავისუფლება წაგართვას, ჩემო გმირო საქართველო?“.

აშუღის ამ მგზნებარე სიმღერამ გული ამითრთოლა და როცა ვიგონებ ხოლმე იმ წუთს, კვლავ მეუფლება ტკბილი მღელვარება, რომელიც ხალხის გულიდან ამოხეთქილმა იმ გულწრფელმა სიმღერამ განმაცდევინა.

1927

თარგმნა

არჩილ დავითიანმა

ოვანეს კარაიანი

(1915)

დაიბადა თბილისში, მწერალ-მთარგმნელის ლაზარე კარაპეტიანის ოჯახში. დაამთავრა ჯერ სომხური საშუალო სკოლა, შემდეგ კი თბილისში სამხატვრო-პედაგოგიური სასწავლებელი. წერს სომხურად და ქართულად. პირველი სომხური ლექსი დაბეჭდა 1936 წელს, ქართული კი — 1940 წ. ამ წლებიდან მოყოლებული მისი ორიგინალური და თარგმნილი ნაწარმოებები ხშირად იბეჭდება სომხურ და ქართულ პრესაში. ფართოდ არის ცნობილი ოვანეს კარაიანის თარგმანები. ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეოდ გამოცემული „რჩეული“ (1968 წ.), „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული თავები, რუსთაველის აფორიზმები, ირაკლი აბაშიძის „პალესტინა, პალესტინა“, (1966 წ.) და მორის ფოცხიშვილის ლექსების კრებული (1968 წ.).

„ქართველ მეგობრებს“, რომელიც შეტანილია კრებულში „ხმა გულისა“, პოეტს ქართულ ენაზე აქვს დაწერილი.

ქართველ მეგობრებს

მე ამ პატარა ლექსისთვის, იცით,
რამდენი ღამე ვათენე თეთრად? —
სომეხს ქართული სიტყვით და ფიცით
მინდოდა თქვენთან ძმური შეხვედრა.
მეძნელებოდა უჩვევი რითმა,
მაგრამ გრძნობას ხომ ცეცხლი არ აკლდა!
სიტყვამ იელვა, სათქმელი ითქვა,
გული ქართულად ალაპარაკდა!
მინდოდა შოთას უკვდავი ენით
დიდება მეთქვა ამ მზიურ დღეთა...
ოჰ, არა როგორც სტუმარი თქვენი,
არამედ შვილი, გაზრდილი თქვენთან.
ბავშვობიდანვე მე მიტაცებდა
შოთას შაირის ეშხი და ფერი,
ჩემი სომხურის დავაუკაცებას
თქვენმა ქართულმაც შეუწყო ხელი.
ჩემი „ნუშის ხე“ აქ გაიშალა,
„სანატრელ სარკმელს“ შევხარი მარად.
გაიხსნა ქართლი, როგორც ფანჯარა,
და ამ ფანჯრიდან ვუცქერ არარატს...
ძმობა... ეს არის უპირველესი
განძი, მომავლის სხივთა მთოველი,
ძმობით შენდება სახლი თუ ლექსი,
ძმობის შარაგზით თქვენთან მოველი.
...მე ამ პატარა ლექსისთვის, იცით,
რამდენი ღამე ვათენე თეთრად...
მინდა ის დარჩეს, ვით ძმადნაფიცი,
თქვენს ლამაზ ქართულ ლექსებთან ერთად!...

მეგობრობის სპექტაკლი ერევანში

ითქმის ძნელია იმის დაჯერება, რომ ერევნის დრამატული თეატრი, რომელიც დღეს ძალზე პოპულარულია, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, მხოლოდ ხუთი წლისაა. ამდენად ძნელია მის ტრადიციებზე ლაპარაკი — ტრადიციები ხომ მხოლოდ ეხლა იქმნება.

თეატრის ხელმძღვანელი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ჰრაჩია ყაპლანიანი დიდი ყურადღებით არჩევს რეპერტუარს, დგამენ სომებ, რუს და უცხოელ დრამატურგთა ნაწარმოებებს. კარგ ტრადიციად დამკვიდრდა რეჟისორების მოწვევა სპექტაკლების დასადგმელად. ერევნის დრამატული თეატრის სასურველი სტუმრები იყვნენ ვახტანგოვის თეატრის რეჟისორი ევგენი სიმონოვი და მცირე თეატრის რეჟისორი ბორის რავენსკიხი.

როდესაც ჰრაჩია ყაპლანიანმა შემთავაზა, რაიმე ქართული პიესა დაგვიდგიო, არჩევანი ოტია იოსელიანის ნაწარმოებზე შევაჩერე — „სანამ ურემი გადაბრუნდება“. ოტია იოსელიანის ეს პიესა ეხება პრობლემას, რომელიც ერთნაირად ამაღელვებელია როგორც ქართველი, ისე სომეხი და სხვა ეროვნების მაყურებლისათვის. ალბათ ამიტომ არის, რომ ქართველი მწერლის ეს პიესა საბჭოთა კავშირის 28 თეატრის სცენაზე წარმატებით იდგმება.

რაკი ვიტყვირთე, უნდა მეზიდაკიდეც. თვითონვე შევარჩიე მხატვარი—თემურ სუმბათაშვილი, კომპოზიტორი გომარ სიხარულიძე. ქართველებს გულითა და სულით ამოგვიდგნენ მხარში სომეხი მეგობრები.

საქმე თავიდანვე კარგად აეწყო. ერთი სირთულის წინაშე მაინც აღმოვჩნდით: ოტია იოსელიანის პიესაში მოქმედება ხდება დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, იმერეთში და საქართველოს ამ მხარეს სომხები ნაკლებად იცნობენ. ეს საკმაოდ სახასიათო სირთულე იყო, რომელიც უთუოდ უნდა დაგვეძლია, წინააღმდეგ შემთხვევაში სპექტაკლი არ გამოვიდოდა. თვენახევარი ვიმუშავეთ და წარმოდგენა სწორედ ისე ჩამოვძერწეთ, როგორც თითოეულ ჩვენგანს ჰქონდა გამიზნული.

პრემიერა 26 ნოემბერს გაიმართა. წინა დღით სომხეთის ტელევიზიით გამოვედით, ტელემაყურებლებს მოვუთხრეთ, როგორ ვამზადებდით სპექტაკლს და ოტია იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“ სომეხი მაყურებლის სამსჯავროზე გავიტანეთ.

არ შევუდგები დადგმის ავ-კარგის გარჩევას, ვიტყვი, რომ ქართული ნაწარმოები სომეხმა მაყურებელმა ძალზე გულთბილად მიიღო, რომ „სანამ ურემი გადაბრუნდება“ დღესაც დიდი წარმატებით ცოცხლობს ერევანში.

რამდენიმე სპექტაკლის შემდეგ ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფი თბილისში გამოემგზავრა. თან გამოვიყვანეთ სომეხი მეგობრების მადლობა და კეთილი სურვილები.

ერევნის დრამატული თეატრი გაზაფხულზე საგასტროლოდ ჩამოდის თბილისში. მალე თბილისელებსაც ექნებათ შესაძლებლობა იხილონ ქართველი და სომეხი მეგობრების ერთობლივი შემოქმედების ნაყოფი.

გაღრი კოგაახიძე,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

გიორგი გეგელია

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივს გამოაკლდა ფრანგული ენის კათედრის წევრი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, ახალგაზრდობის მოამაგე, ლიტერატორი, კაცური კაცი — გიორგი გეგელია.

გიორგი გეგელია დაიბადა 1904 წელს. ფოთში საშუალო განათლების მიღების შემდეგ შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტზე, 1926 წელს კი სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა გერმანიაში, მაგრამ რევანშიზმით მბობრგავი გერმანია ორმაგად ეუცხოვა სამშობლოსაგან მოწყვეტით დასევდიანებულ ჭაბუკს და სულ მალე საფრანგეთში გადასახლდა, სადაც წარმატებით დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, რის შემდეგაც იქვე დატოვეს სისხლის სამართლის კათედრის მეცნიერ თანამშრომლად.

რთულსა და ცდუნებებით სავსე პარიზში გიორგიმ ზურგი აქცია თანამემამულეთა იმ ნაწილს, რომელიც სამშობლოს სამსახურს საკუთარი ფიზიკური არსებობისათვის დაბინდული ბილიკებით ფერეულ სიარულთან აიგივებდა, არ გაეკარა უნიათო კირკიმალოთ გაქსუებულებსა და ავკაცობით დაჩაჩანაკებულებს, მხარში ამოუდგა ქართველი ერის სასიქადულო მამულიშვილს, მეცნიერების ღვაწლმოსილ ამაგდარს ექვთიმე თაყაიშვილს და დიდი ამაგი დასდო საშვილიშვილო საქმეს — ჩვენი ეროვნული განძის მოვლა-პატრონობასა და სამშობლოში მის დაბრუნებას.

უწმინდეს და უნეტარეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ეფრემ მეორემ კითხვაზე — „უცხოეთში მყოფმა ქართველებმა რით გაამართლონ თავიანთი ქართველობა?“ — გვიპასუხა: **„ჯერ ერთი, რომ კარგად, წესიერად, ზნეობრივად მოიქცნენ და ყველას დაანახონ სახე ქართველი კაცისა, მეორე, სამშობლოს სიყვარული არ დაივიწყონ, შვილებს გადასცენ, ქართული ენა ასწავლონ და მარადჟამ პირი და გული ჰქონდეთ სამშობლოსაკენ“**... დიახ, გიორგი გეგელიას არ შეურცხვენია ქართველი კაცის სახელი, პირი და გული მარადჟამ ჰქონდა საქართველოსკენ!

მეორე მსოფლიო ომში გიორგი თავგამოდებით ებრძოდა სამშობლოს მტერს — ფაშიზმს, ხოლო საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ ფრანგ პატრიოტებთან ერთად ძალას, ღონეს, ცოდნასა და თვით სიცოცხლესაც არ ზოგავდა მეოცე საუკუნის ვანდალებთან პარტიზანულ ბრძოლაში. ამ მამაცობისათვის გიორგი გეგელია საფრანგეთის მთავრობამ დააჯილდოვა მრავალი ორდენითა და მედლით — საპატიო ლეგიონის ორდენი, სამხედრო ჯვარი ოქროს ვარსკვლავით, ცეცხლის ჯვარი და სხვა გეგელიამ მამულიშვილური თავდადებით მოიპოვა.

ნატკენმა გულმა ზოგჯერ უფრო მეტი სიყვარული იცის, ვიდრე უსასრულო ალერსით გაყვინთზებულმა... და სამშობლოში დაბრუნებული პირმართალი მამულიშვილი სიყვარულით შეუდგა ერის სამსახურს — მუყაითად შრომობდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში, ხოლო 1951 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე წარმატებით ემსახურებოდა უცხო ენათა ინსტიტუტში ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. ამასთან ერთად მის კალამს ეკუთვნის რომენ როლანის „კოლა ბრუნიონის“, „ბეთჰოვენის“ ქართული თარგმანი, კონსტანტინე გამსახურდიას „ზოგაის მინდიას“ ფრანგული თარგმანი და რამდენიმე საკუთარი მოთხრობა.

არც მამულეთი დაჰკარგა, არც დედულეთი ატირა, შინ კაცურ კაცად დაბრუნდა და ერთობლივი სიყვარული დაიმსახურა. მშობლიურმა მიწამ სათუთად მიიბარა გიორგი გეგელიას ნეშტი, ამხანაგები, მეგობრები და მოწაფეები კი დიდხანს, მოკრძალებით შეინახავენ თავიანთ გულში თავმდაბალი, გულისხმიერი, მართალი ადამიანის ნათელ სახეს.

დაგეძებენ, მოგელიან

გრიგოლ (გრიშა) ეძებს ძე მაისაშვილს,

დაბადებულს 1921 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ წესში, ეძებენ: და — **ანიკო** ოჯახით, ძმისწულები — **გურამ, ციალა, ელგუჯა, ჯულიეტა, ნათელა, დურმიშხან მაისაშვილები,** მცხოვრებნი თბილისში, ცხრა ძმის ქუჩა № 79.

ძმებს, ნიკიტა და პავლე ნიკოლოზის ძე აბდუშელიშვილებს,

დაბადებულთ 1912 და 1918 წლებში ქალაქ ჭიათურაში, ეძებს ძმა — **იუსტინე აბდუშელიშვილი,** მცხოვრები ქალაქ ჭიათურაში, სტალინის ქუჩა № 172.

რაჟდენ დავითის ძე ფრიდონაშვილს,

დაბადებულს 1917 წელს დუშეთის რაიონის სოფელ არაგვისპირში, ეძებს დედა — **ერმონა ფრიდონაშვილი,** მცხოვრები სოფელ არაგვისპირში.

ანთიმოზ ივანეს ძე ჯოხაძეს,

დაბადებულს 1912 წელს ონის რაიონის სოფელ ფსორში, ეძებენ მეუღლე — **თამარ,** შვილი — **კარლო,** რძალი — **ლია,** შვილიშვილები — **გია** და **ია ჯოხაძეები,** მცხოვრებნი თბილისში, თემქის დასახლება, I კვარტალი, მე-12 კორპუსი.

ნიკოლოზ (ნიკო) ალექსანდრეს ძე ოთარაშვილს,

დაბადებულს 1912 წელს კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალაში, ეძებს დედა — **ლიზა,** მეუღლე — **ლიდა,** შვილი — **შუქური ოთარაშვილები,** შვილიშვილი — **მაია,** მცხოვრებნი თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, III კვარტალი, მე-9 კორპუსი, № 38 ბინა.

ოთარ ვასილის ძე მაჭავარიანს,

დაბადებულს 1924 წელს ხარაგოულის რაიონის სოფელ კიცხიბორში, ეძებს და — **ფეფო მაჭავარიანი,** მცხოვრები სოფელ კიცხი-ბორში.

გრიგოლ ისმაილის ძე სირაძეს,

დაბადებულს 1922 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ შხვანამში, ეძებს ძმა — **კარლო სირაძე,** მცხოვრები თბილისში, ხეთაგუროვის ქუჩა № 62.

ლევან ზაქარიას ძე ხაჯალიას,

დაბადებულს 1907 წელს ქალაქ ცხაკაიაში, ეძებენ მეუღლე — **ანტისა,** შვილები — **ნაზი, ნათელა, დოდო ხაჯალიები,** მცხოვრებნი ქალაქ ცხაკაიაში, ნაშენის ქუჩა № 15.

გიორგი (გოგიტა) ირაკლის ძე კვინიკაძეს,


დაბადებულს 1923 წელს თბილისში, ეძებენ მამა — **ირაკლი,** დედა — **ნაუშა კვინიკაძეები,** მცხოვრებნი თბილისში, კამოს ქუჩა № 72.

ესტატე ოტიას ძე თოდუას,

დაბადებულს 1907 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენში, ეძებენ მეუღლე — **ქსენია (ჯოდოლი),** შვილები — **ლია, გურამ (ჯემალი),** რძალი — **ნანა,** შვილიშვილი — **ნიკო თოდუები,** მცხოვრებნი თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, მე-7 კვარტალი, მე-6 კორპუსი, № 64 ბინა.

სპორტი





სურათებზე: აი ისინიც, ვისი სახელებიც ეწოდა ამ ასპარეზობებს — გივი კარტოზია და ვახტანგ ბალავაძე;

ჭიდაობას რა უნდა...

ლევან თედიაშვილის მოწინააღმდეგეს ისღა დარჩენია, გაქცევით უშველოს თავს.

ნოდარ მოდებაძემ კიდევ ერთი მეტოქე დასცა ძირს.

ალექსანდრე სარიშვილისა და მიხეილ ზარიძის ფოტოები.

გივის, ვახტანგისა და ანზორის სახელობისა...

რჩეულთა შორის რჩეულთა აღიარების ნათელი დადასტურება იყო ის ასპარეზობანი, რომლებიც ამ დღეებში თბილისში გაიმართა.

ჯერ იყო და, გივი კარტოზიას სახელობის ტურნირში მონაწილეობის მისაღებად სხვადასხვა ქვეყნის „კლასიკოსები“ გვესტუმრნენ, მერე კი საქართველოს დედაქალაქს თავისუფალი სტილის პლანეტის უძლიერესმა მოჭიდავეებმა მოაშურეს, რათა ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტურნირში მიეღოთ მონაწილეობა.

გაივლის რამდენიმე დღეც და თბილისში კიდევ ერთი საერთაშორისო ტურნირი გაიმართება. ამჯერად სალიჩაზე ძიუდოისტებს ვიხილავთ, რომლებიც ერთმანეთს შეერკინებიან ანზორ ბიბნაძის თასის მოსაპოვებლად.

ამ ასპარეზობის საინტერესო მოვლენაა ისიც, რომ მათი მთავარი მსაჯები იყვნენ ის ადამიანები, რომელთა სახელობისაც ეს ტურნირები იყო. პირველს სათავეში ედგა სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ვახტანგ ბალავაძე.

ორიოდე სიტყვა ტურნირებზე.

გივი კარტოზიას სახელობის თასისათვის ბრძოლაში საბჭოთა სპორტსმენის გარდა მონაწილეობდნენ ბულგარეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, რუმინეთიდან და პოლონეთიდან ჩამოსული „კლასიკოსები“.

ჩვენი რესპუბლიკის ღირსების დაცვა ახალგაზრდებს მიენდოთ. ამან, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საპრიზო ადგილების განაწილებაზე — მხოლოდ ერთმა ქართველმა მოჭიდავემ — მიხეილ სალაძემ შეძლო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება.

ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტურნირზე ერთმანეთის პირისპირ დადგნენ საქართველოს, საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის, რუმინეთისა და პოლონეთის მოჭიდავეები. გაგვახარეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. ოთხი პირველი ადგილი, რომლებიც მათ მოიპოვეს ესოდენ ძლიერ ტურნირში, მნიშვნელოვანი წარმატებაა. ჯერ იყო და, გამარჯვებულის უმაღლეს კვარცხლბეკზე ავიდა შამაზ მიქელაძე (52 კილოგრამი), შემდეგ წარმატება იზეიმეს ზარიბეგ ბერიაშვილმა (74 კილოგრამი), ლევან თედიაშვილმა (82 კილოგრამი) და ნოდარ მოდებაძემ (მძიმე წონა).

ვახტანგ ბალავაძის სახელობის თასი მოიპოვა ზარიბეგ ბერიაშვილმა (ვახტანგიც ხომ ამ წონაში გამოდიოდა). საბჭოთა კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონს ზარიბეგ ბერიაშვილს პრიზი თვით ვახტანგმა გადასცა. დანარჩენ წონით კატეგორიებში გამარჯვება იზეიმეს რაფიკ ჰაჯიევმა (48 კილოგრამი. საბჭოთა კავშირი), ივან კულეშოვმა (57 კილოგრამი, საბჭოთა კავშირი); რუსლან ფლიევმა (62 კილოგრამი. საბჭოთა კავშირი), დენ გეიბლმა (68 კილოგრამი, ამერიკის შეერთებული შტატები), გენადი სტრახოვმა (90 კილოგრამი, საბჭოთა კავშირი), ვლადიმერ კაპოშკინმა (100 კილოგრამი, საბჭოთა კავშირი).

ტურნირზე გათამაშდა კიდევ ერთი სახელგანთქმული მოჭიდავის — ვლადიმერ რუბაშვილის პრიზი, რომელიც რუსლან ფლიევმა დაისაკუთრა.

რევაზ მაჭავარიანი

დედაენა

საზღვარგარეთულ თანამემამულეთათვის
შედგენილი გალერიან რამიშვილის მიერ
იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით


გაკვეთილი 5




თოხი
თო ხი
თ ო ხ ი

ო

თო-ხი. სო-სო. ო-თა-ხი.
ახი თოხი. ახი ოთახი. ათი თოხი.
ათი თახი. ოთხი თხა.
ახი სიოს ოთახი. ის სოსოს თახია.
ოთხი საათია.




გაკვეთილი 6



სათითე
სა თი თე
ს ა თ ი თ ე

ე


სე. სა-სე. სე-სე. თე-ო. სა-თი-თე.
სე-ი-თი. ი-ა-სე. ეს. სე-სე.
ახი სესეს სახე. ეს სოსოს სეა. ის სათითეა.
ეს სეითის ოთახია. ის იასეს
საათია.
ეს სესეს თხაა. ის თეოს სათითეა.
თეო, თასი ხეხე!



გაგრძელება. იხ. „სამშობლო“ 1972, № 1, 2.


ახლა დაიბეჭდოთ, ისწავლეთ მშობლიური ქართული!











გოგონების ხაზი

სულ თორმეტნი არიან — თერთმეტი გოგონა და ერთი ბიჭუნა. დედის ტკბილმა ივანანამ აკვანშივე ჩაუნერგა მუსიკისადმი სიყვარული და სულ ერთი ციდა ბალღები, 8-9 წლისანი მოვიდნენ ამ რამდენიმე თვის წინ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მუსიკალურ განყოფილებაში მოვიდნენ და თან მოიტანეს ბავშვური სიხალისე და აღტყინება, სიმღერით სავსე გული. ესე შეიქმნა საესტრადო ორკესტრი „მზიური“. ყველა საკრავზე—ქსილოფონზე, კლავიშიან ელექტროინსტრუმენტ „სიჭაბუკეზე“, ფორტეპიანოზე, გიტარებზე, დასარტყმელ და ხმაურიან საკრავებზე ერთნაირი სიყვარულით უკრავენ პატარები.

პროგრამაც მრავალფეროვანი აქვთ: პოპულარული ქართული მელოდიები, რევაზ ლაღიძის, ნოდარ გაბუნიას, გურამ ბზვანელისა და სხვათა ნაწარმოებები, რიტმული ცეკვები, უცხოური საესტრადო ნაწარმოებები და სხვა მრავალი. სიმღერების თუ ცეკვის შესრულების ტექნიკასა და სილამაზეზე მეტყველებს მაყურებელთა ის დიდი ოვაცია, რაც ნორჩების გამოსვლამ დაიმსახურა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლისა და გაზეთ „კომუნისტის“ საიუბილეო კონცერტებზე.

სურათებზე: ორ სალამურზე უკრავს ნიკო ნადირაშვილი; მღერის ლია ხორბალაძე; დასარტყმელ ინსტრუმენტებთან არის თამრიკო ხორავა; მარინა მასხულია და ხათუნა დონდუა გიტარებთან; ლია ხორბალაძე, ხათუნა დონდუა, ნანა სანებლიძე და თამრიკო ხორავა კონცერტზე მიიჩქარიან.

გივი კიკვაძისა და ანატოლ რუხაძის ფოტოები.

რედაქტორი გივი კარბელაშვილი

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-2

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 9

ინდექსი 66488

ფასი 5 კაპ.